ᲡᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲝᲗᲕᲐᲠᲘᲔ

№20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ-ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 2011 ᲬᲚᲘ რᲔᲚᲘᲒᲘᲝᲣᲠ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

2 – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

7 – ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐᲡᲗᲐᲜ

18 – ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲐᲜᲔᲚᲙᲐ

20 – ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲰᲘ

ახალი მთვარე

რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი
№20 სექტემბერი-ოქტომბერი 2011 წელი

ISSN 1987-6106

UDC (უაკ) 2-472 ა-984

გამომცემელი:
ა(ა)იპ-„ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება"

მთავარი რედაქტორი
გელა გოგიტიძე

სარედაქციო კოლეგია:
გიორგი კამლაძე
ზადრი შანთაძე
თემურ გორგაძე
უშანგი ბოლქვაძე
ადამ შანთაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი:
Worldpublishings
რასიმ შაქიროღლი

მარკეტინგის მენეჯერი:
რუსლან (მევლუდ) აბაშიძე

კორექტორი:
მზია შანთაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორები თავად აგებენ პასუხს მათ მიერ მოყვანილი ფაქტების, არგუმენტებისა და ციტატების სიზუსტეზე. მასალების გადაბეჭდვა ნებადართულია რედაქციასთან შეთანხმებით. რედაქცია ვალდებულია, გამოუქვეყნებელი მასალები, პირველი მოთხოვნისთანავე, გადასცეს პირადად ავტორს.

მისამართი:
ქ. ბათუმი, ქუთაისის ქუჩა №-33
ტელ. ფაქსი: 8 (422) 27 69 04
ელ. ფოსტა: info@muslim.ge

დაიბეჭდა:
შპს „თბილისელებში"

მისამართი:
ქ. თბილისი, ასლანიძის ქუჩა №-14
ტელ: 8 (32) 2 336 336
ელ. ფოსტა: baluka71@mail.ru

სარჩევი

2. ადამიანის უფლებები
ალექსანდრე ნაკაიძე

7. საზოგადოების ურთიერთობა რელიგიასთან
გელა გოგიტიძე

11 მიბაძვისთვის ჭეშმარიტად ღირსეული
თარგმნა: გ. ხოზრევანიძემ

16. თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მუსლიმი ნიკოლა ანელკა
გიორგი კამლაძე

16. ჩასჭიდე მას ხელი
უშანგი ბოლქვაძე

20. წმინდა სალიჰი
ოსმან ნური თოფბაში

25. ყურაიშების მიერ ნეჯაშისგან მუჰაჯირების უკან გამოთხოვნა
თემურ გორგაძე

28. თეიმუმი

30. რას გვეტყვით მკითხაობის შესახებ?
ნოდარ დავითაძე

31. გენმოდიფიცირებული საკვები
როინ კოჩალიძე

33. ანეკდოტები

34. ქართული ხალხური ანდაზები

36. სუდოკუ

37. საბავშვო გვერდი

38 - აბა გამოიცანით?

38 - საბავშვო ტესტები

39 - ოფლიანმა წყალი არ დალიოთ

39 - იპოვეთ 7 განსხვავება!

40 - ჩემო საყვარელო აღსაზრდელებო

ადამიანის უფლებები

ალექსანდრე ნაკაიძე

უზენაესმა ალლაჰმა, ყველა გაჩენილ არსებას გარკვეული პასუხისმგებლობა დააკისრა. გამომდინარე აქედან, თითოეული არსება ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობა შეძლებისდაგვარად შეასრულოს. უზენაესმა გამჩენმა ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებები ადამიანს დააკისრა, ის ყველა არსებაზე მაღლა დააყენა და თავის თანამოსაუბრედ მიიჩნია. ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება, ამქვეყნიური და საიქიო სიმშვიდის დამსახურება, ადამიანის უფლებების დაცვაში გამოიხატება.

ზოგადად ყველა ადამიანის უფლებები, განურჩევლად ენის, ეროვნების, რასის, სქესის, სოციალური სტატუსისა და კანის ფერისა, თანასწორია. თუმცა ისლამურ სამყაროში, ადამიანის უფლებების ცნება, თითოეული ინდივიდისთვის მინიჭებულ, უმთავრეს პრიორიტეტად ითვლება.

ამქვეყნად ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავებული, სხვადასხვა თვისებებით არიან გაჩენილნი. მაგრამ ისლამი ამ განსხვავებებს ერთთან შედარებით მეორის უპირატესობის მიზეზად არ მიიჩნევს. უზენაესი ალლაჰი ამ მდგომარეობას ყურანის სურა „ჰუჯურათის“ 13-ე აიათში ასე ხსნის: ***„ოჰ, ადამიანებო, თქვენ ერთი მამრისა და მდედრისგან გაგაჩინეთ და იმისათვის, რათა ერთმანეთი (შე)გეცნოთ, ტომებად და ერებად დაგადგინეთ“.*** აგრეთვე უკეთილშობილესი შუამავალი, გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში (ვედა ჰუთბე) ადამიანის უფლებებზე ყურადღებას შემდეგნაირად ამახვილებს: *„ოჰ, ადამიანებო! თქვენი გამჩენი ერთია, თქვენი მამაც ერთია. ყველა ადემის შვილები ხართ. ადამი კი მიწისგან არის გაჩენილი. ისე როგორც არაბს, არაარაბის, არაარაბს არაბის მიმართ, ასევე თეთრკანიანს შავკანიანის, ხოლო შავკანიანს თეთრკანიანის მიმართ არავი-*

თარი უპირატესობა გააჩნია. უპირატესობა მხოლოდ ღვთისმოსაობაშია“.

ადამიანის უფლებები ზედმიწევნით სათუთი და გასაფრთხილებელია. ვინაიდან ვინმეს უფლებების შელახვა ან დარღვევა ამ პიროვნების წინაშე მოვალედ გვაქცევს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გამოვყოფთ ადამიანის ზოგიერთ ფუნდამენტურ უფლებას:

სიცოცხლის უფლება

ამქვეყნად ყველა ცოცხალი არსების უმთავრესი უფლება—სიცოცხლეა. ვინაიდან ეს არის ყველაზე ძვირფასი რამ, რაც უზენაესმა გვიბოძა. ამქვეყნად ადამიანი ერთხელ იბადება და სიკვდილის შემდეგ ამქვეყნიურ ცხოვრებას უკან ვეღარასდროს დაუბრუნდება.

ისლამი, ყველა ცოცხალი არსების და განსაკუთრებით ადამიანის სიცოცხლეს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. გამომდინარე აქედან, ერთი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, სრულიად კაცობრიობის გაწყვეტასთან არის გატოლებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ წმინდა ყურანის სხვადასხვა აიათში ადამიანის სიცოცხლის მნიშვნელობაზე ასეა მითითებული: ***„მან, ვინც ადამიანის სიცოცხლეს უსამართლოდ ხელსჰყოფს, თითქოს მთელი კაცობრიობა გაწყვიტა, ხოლო ვინც ერთი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს, (მან) თითქოს მთელი კაცობრიობა იხსნა“.*** აქვე აღსანიშნავია ერთი ციტატაც წმინდა შუამავლის გამოსამშვიდობებელი ქადაგებიდან: „ოჰ, ადამიანებო! ისე როგორც ეს დღეები, ეს თვეები და ეს ქალაქი (მექქა) არის თქვენთვის ძვირფასი, ასევე თქვენი სიცოცხლე და ქონებაც მნიშვნელოვანია. ისინი ყოველგვარი ხელყოფისგან დაცულია“.

თანასწორობა

ყოველი ცოცხალი არსება, ორ განსხვავებულ სქესად—მამრობითად და მდედრობითად—არის გაჩენილი. გარდა ამისა, მათ განსხვავებული თვისებებიც ახასიათებთ. აღსანიშნავია ის, რომ ასეთი განსხვავება უთანასწორობის მიზეზი არ არის. ყოველგვარი უფლების მოპოვებისა და მისი გამოყენების მხრივ ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა არსებობს. ისე როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სიცოცხლე, ღირსება, ნამუსი, პიროვნულობა და ქონება ხელშეუხებელია. მუშაობის, მონაგების სურვილისდა მიხედვით გახარჯვის, ქორწინების, შვილის ყოლის, სწავლის, მემკვიდრეობის, სამართლით სარგებლობისა და სხვა უმთავრესი უფლებები და პასუხისმგებლობები ქალებსაც გააჩნიათ.

ისლამი, გამჩენის ბრძანებებთან დაკავშირებით ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებას არ უშვებს. ამასთან ერთად, სამხედრო სამსახურის, ომში მონაწილეობის, ოჯახის საკვებით უზურნველყოფისა და სხვა მძიმე ტვირთისგან ქალს ათავისუფლებს. უზენაესი გამჩენი ქალისა და მამაკაცის ურთიერთსაჭიროებას შემდეგი მაგალითით რაოდენ ლამაზად ხსნის: „ისინი თქვენი სამოსელი არიან, ხოლო თქვენ კი მათი“. უკეთილშობილესი შუამავალი როგორც მამაკაცების ასევე ქალების სწავლა-განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან ღვთიური ზეშთაგონება, განურჩევლად სქესისა, ყველას უქადაგა. უფრო მეტიც, წმინდა შუამავალმა ქალებს განსაზღვრული დღე დაუთმო, მათ რელიგიურ გაკვეთილებს უტარებდა, კითხვებს ისმენდა და პასუხს სცემდა.

რელიგიური და სინდისის თავისუფლება

მისი სარწმუნოებიდან სხვა რჯულზე ადამიანის იძულებით მოქცევის მცდელობა, დაუშვებელია, ვინაიდან, უზენაესი ალლაჰი ყურანში, კერძოდ კი სურა „ბაყარას“ 256-ე აიათში რელიგიაში ძალდატანების დაუშვებლობის შესახებ საუბრობს. გამომდინარე აქედან, პიროვნება რწმენის არჩევის საკითხში თავისუფალია.

განურჩევლად მისი რელიგიური მრწამსისა, ყველას მიმართ კარგი დამოკიდებულება მუსლიმი ადამიანის ვალია.

თავისუფლება და მონობის აკრძალვა

იმისათვის, რომ ადამიანურად შეძლოს ცხოვრება, აუცილებელია პიროვნება თავისუფალი იყოს. ყოველი ადამიანი თავისუფალ არსებად იბადება და ცხოვრობს.

შეუძლებელია ისეთი ადამიანის ბედნიერ ცხოვრებაზე საუბარი, რომელიც თავს თავისუფლად ვერ გრძნობს. ვინაიდან, როდესაც თავისუფლება ჩამოერთმება, პიროვნებას დასაკარგი აღარაფერი დარჩება.

წმინდა ყურანში არ არსებობს ისეთი აიათი, რომელიც ადამიანის დამონებას ბრძანებდეს. ამასთან ერთად, გამჩენი ალლაჰი, მონობის გაუქმების მიზნით, ბრძანებს, რომ გარკვეული ღვთისმსახურებების შეგნებულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, უპირველესი რამ, რაც დანაშაულის გამოსასყიდად, ცოდვის ჩამდენმა უნდა გააკეთოს მონის გათავისუფლებაა. კაცის უნებლიედ მოკვლის, ფიცის გატეხვის, საპატიო მიზეზის გარეშე მარხვის დარღვევის დროსაც, უპირველესი გამოსასყიდი მონის გათავისუფლებაა. გარდა ამისა, ზექათის ფონზეც, ისლამმა მონებს თავისუფლების მისანიჭებლად წილი მიაკუთვნა. ამასთან ერთად მონას მისცა უფლება, მუშაობით გადაიხადოს გამოსასყიდი და თავისუფლება მოიპოვოს.

ისლამი, ინდივიდუალურ ქონებას პიროვნების ერთ-ერთ უფლებად ცნობს. მოპარვის, ძარცვის, ყაჩაღობისა და მსგავსი გზებით მითვისებული ქონება ჰარამია. სხვისი ქონების უნებართვოდ გამოყენება ან დაზიანება და გაფუჭება დაუშვებელია. ნებისმიერი გზით მისთვის ზარალის მიყენება ჰარამია. ისლამი ადამიანების ქონების ხელშეუხებლობას გვიბრძანებს. ისლამში ყველაფერი ეს ადამიანების უფლებებისა და ქონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არის დანერგილი.

სამართალი

სამართალი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია. უზენაესი ალლაჰი, საზოგადოებრივ ყოფაში და ცხოვრების ყველა სფეროში სამართლიანობას გვიბრძანებს და გვაფრთხილებს, რომ მაშინ, როდესაც ადამიანების მმართველი გავხდებით, აუცილებლად სამართლიანად მოვიქცეთ.

პირადი ცხოვრების საიდუმლოება და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა

ადამიანების პირადი ცხოვრების გამოკვლევა, შესწავლა და შემდეგ სხვებისთვის მოყოლა, ისე, როგორც საზოგადოებისთვისაა მოუწონარი, ასევე ისლამის მხრიდანაც აკრძალული საქციელია. ვინაიდან გამჩენი ეჭვისგან თავის შორს დაჭერისკენ მოგვიწოდებს და გვამცნობს, რომ ეჭვიანობა ცოდვაა. ამასთან ერთად გვაფრთხილებს, რომ ერთმანეთის ნაკლოვანებები არ გამოავააშკარავოთ და თავი ჭორაობისგან შორს დავიჭიროთ. ასევე გვიკრძალავს, მეზობლებისა და ახლობლების სახლში კარზე დაუკაკუნებლად და მისალმების გარეშე შესვლას.

წამებისა და ცუდად მოქცევის აკრძალვა

როგორიც უნდა იყოს დანაშაული, მის გამო ვინმეს წამება ან დამნაშავის მიმართ უმოწყალოდ მოქცევა, შეუფერებელი საქციელია. თუნდაც საბრძოლო მდგომარეობაში, ქალების, ბავშვების და რელიგიური პირების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება და მათი წამება დაუშვებელია.

ისლამი არა მარტო ადამიანების, არამედ ყველა სხვა ცოცხალი არსების წამებასაც კრძალავს. უკეთილშობილესი შუამავალი ბრძანებს: *„ის, ვინც ამქვეყნად ადამიანებს აწამებს, მას უზენაესი ალლაჰი საიქიოში დასჯის“.*

უკანასკნელ ასწლეულში, მსოფლიოს ყველა ქვეყანამ, ადამიანის წამებისა და მათდამი ბოროტი დამოკიდებულების თავიდან აცილების მიზნით, საერთო შეთანხმებას მიაღწია და 1950 წელს ხელმოწერილი იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაცია. რის საფუძველზეც, ადამიანის უფლებების შელახვა და მათ მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება დანაშაულად იქნა აღიარებული.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს, აქვთ სოციალური უსაფრთხოების უფლება. ამასთან დაკავშირებით ისლამში,

ზექათის, სადაყის (ნებაყოფლობითი მოწყალების), ყურბნის ,ასევე საქველმოქმედო ფონდების სახით, ადამიანების სოციალური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები არსებობს.

იმისათვის, რომ ადამიანმა ღირსეული ცხოვრება შეძლოს, აუცილებელია სწავლა-განათლებას დიდი ყურადღება მიაქციოს. იმისათვის, რომ, როგორც საკუთარ თავს, ასევე ოჯახს, ნათესავებსა და საზოგადოებას, რომელშიც ის ცხოვრობს, გამოადგეს, ადამიანი აუცილებლად ცოდნას საჭიროებს. ცხოვრების ნებისმიერ პერიოდში, დაბადებიდან სიკვდილამდე ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ისევ და ისევ სწავლა-განათლებაა. გამომდინარე აქედან, თითოეულ ინდივიდს განათლების მიღების აბსოლუტური უფლება გააჩნია.

წმინდა შუამავლის მიერ მიღებული პირველი ზეშთაგონება ცოდნის მიღების აუცილებლობას გვამცნობს. უკეთილშობილესი მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: *„გამჩენმა მე, მასწავლებლად მომავლინა“* ის, რაც დედამიწაზე არსებობს, სწავლულის გარდა, რომელიც მოსწავლეებს გამჩენის ხსენებას, მასთან დაახლოებას ასწავლის, ფასი არ აქვს.

აქვე, კიდევ ერთხელ, უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ისლამში, განურჩევლად ქალისა და მამაკაცისა, ყველას ცოდნის შეძენის თანაბარი უფლება აქვს.

ქონებრივი უფლებები

ყველა ინდივიდს გააჩნია, კანონიერი გზებით ქონების მოგებისა და აგრეთვე მისი შესაბამისად გახარჯვის უფლება. პიროვნებას, არაკანონიერი გზით მოპოვებულის გარდა, შეუძლია მოგებული დააგროვოს, გახარჯოს ან მისი გაყიდვის შემთხვევაში მოგებული ქონებით ისარგებლოს.

ისლამი, ინდივიდუალურ ქონებას პიროვნების ერთ-ერთ უფლებად ცნობს. მოპარვის, ძარცვის, ყაჩაღობისა და მსგავსი გზებით მითვისებული ქონება ჰარამია. სხვისი ქონების უნებართვოდ გამოყენება ან დაზიანება და გაფუჭება დაუშვებელია ნებისმიერი გზით, მისთვის ზარალის მიყენება ჰარამია. ისლამი ადამიანების ქონების ხელშეუხებლობას გვიბრძანებს. ისლამში ყველაფერი ეს, ადამიანების უფლებებისა და ქონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არის დანერგილი.

ბავშვის უფლება

ყოველი ბავშვი უცოდველი და უდანაშაულოა. ის იმ ცარიელ და სუფთა ფურცელს

ჰგავს, რომელსაც ჯერ ლაქა არ ამჩნევია. ბავშვები დიდი ინტერესით შეპყრობილი, ცხოვრების ხალისით, სუფთა და კეთილზრახვებით განმსჭვალულნი არიან. ისინი ისე იქცევიან, როგორც გული კარნახობთ. ბავშვები ამქვეყნიური ბაღების შეუდარებელი მშვენებანი არიან. გამომდინარე აქედან, მათ ყოველთვის ყურადღებით უნდა მოვექცეთ, და მაქსიმალურად ვეცადოთ, მათთვის საუკეთესო მაგალითი ვიყოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვები უზენაესმა გამჩენმა ამანათად გვარგუნა. ამიტომაც ვალდებულნი ვართ მათ ზედმიწევნით გავუფრთხილდეთ და საუკეთესოდ აღვზარდოთ. თითოეულ ბავშვს მათთვის საჭირო და აუცილებელი უფლებები გააჩნიათ.

ნებისმიერ მათგანს აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების წესიერი გარემო, მიიღოს სწავლა-განათლება, იყოს ტანჯვა წვალებისგან დაცული და მცირეწლოვნების ასაკში გაუსაძლის პირობებში არ იმუშაოს. აგრეთვე ჰქონდეს თბილი ოჯახური პირობები, მშობლების მხრიდან არ უნდა იგრძნობოდეს ქალ-ვაჟის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება და მათ სამართლიანად უნდა მოვექცეთ.

უკეთილშობილესი შუამავალი ბრძანებს:

„მშობელი, შვილს მემკვიდრეობად ლამაზ ზნეობაზე უკეთესს ვერაფერს დაუტოვებს“.

„ჩვენგან არ არის ის, ვინც ბავშვებს არ წყალობს და უფროსებს არ აფასებს“.

საზოგადოების ურთიერთობა რელიგიასთან

გელა გოგიციძე

ადამიანი, როგორც ფსიქოლოგიური არსება

ადამიანი, მხოლოდ სხეულისგან არ შესდგება, იგი სხვა არსებებისგან თავისი სულიერებით განსხვავდება. კარგად ვიცით, რომ, როდესაც უზენაესმა ალლაჰმა ადამი გააჩინა მას თავისი სული შთაბერა. სწორედაც, ამ ღვთიური სულის წყალობით ადამიანი, ფსიქოლოგიურ არსებად ჩამოყალიბდა. ამგვარად, იგი გონიერ, მოაზროვნე, მორწმუნე, მოსწავლე, მასწავლებელ, ღვთისმსახურ, ცივილიზებულ, მომავლი ცხოვრების უსაფრთხოებაზე მზრუნველ არსებად შეიქმნა. ადამიანი, რომელიც თავის მატერიალურ ანუ ბიოლოგიურ მოთხოვნებს სხვადასხვა გზებით იკმაყოფილებს, იძულებულია, სულიერი მოთხოვნებიც დაიკმაყოფილოს. აღსანიშნავია, რომ სულიერი მოთხოვნების ძირითადი პრინციპები, სიყვარული, ნდობა და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რწმენაა. ამიტომ ის თვისება, რაც ადამიანს სხვა არსებებისგან გამოარჩევს და უპირატესობას ანიჭებს, გონივრულობა და რწმენაა.

რელიგია, ისტორიის ყოველ ეპოქაში არსებული გლობალური კანონია

ადამიანი თავისი გაჩენის დღიდან მოყოლებული, უზენაესი არსების ძიების, მასზე დაჯერების, მიკედლებისა და მისგან დახმარების თხოვნის საჭიროებას გრძნობს. გამომდინარე აქედან, რელიგია, ისტორიის ყოველ ეპოქასა და საზოგადოებაში უწყვეტად არსებული, გლობალური და ღრმად ფესვებგადგმული კანონია. რელიგია, რომელიც მიმართულია მხოლოდ ადამიანისკენ, თვით ადამიანის გაჩენის დღიდან არსებობს. ვინაიდან რელიგიის გარეშე კაცობრიობა ვერ იარსებებს, ისიც მანამდე იქნება, სანამ კაცობრიობა იარსებებს. რელიგიის ისტორიის სფეროში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, თუნდაც ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც იქნა მოძიებული ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ ღმერთის რწმენა, თუმცა, მიუხედავად იმისა, არ ყოფილა ისეთი საზოგადოება, რომელის ყველა წევრი ერთიანად უარყოფდა ღმერთის არსებობას. ეს ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს საზოგადოება, რომელიც ამა თუ იმ რწმენას არ მიეკუთვნება. დასავლელი მეცნიერი ჰენრი ბერგსონი ამტკიცებს, რომ „წარსულში არსებობდნენ ხალხი, რომლებსაც ხელოვნებისა და ცოდნის შესახებ არაფერი გაეგებოდნენ. ასეთი ადამიანები დღესაც არსებობენ, მაგრამ არასდროს ყოფილა ურწმუნო საზოგადოება“ .

ადამიანის პიროვნული განსხვავება და ინდივიდი

რამდენადაც ძლიერ განსხვავებულია ადამიანის თითის ანაბეჭდები ერთმანეთისგან, მსგავსი სხვაობაა მათ სახეს, სულსა და ინდივიდს შორის. ადამიანი, ამ განსხვავებული მხარეებით, სოციალურ გარემოში საკუთარ პიროვნებას წარმოადგენს. აღნიშნული მდგომარეობა, იმ ინფორმაციებზეა დამოკიდებული, რომელიც მას მემკვიდრეობით გადაეცა. ასევე ოჯახთან, სკოლაში

და საზოგადოებასთან ურთიერთობით შეიძინა.

ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ეს სხვაობა მათ ჭკუაში, გრძნობებში, ემოციებსა და განსაკუთრებულ ნიჭში აისახება. ანალოგიურ მდგომარეობასა და პირობებში მცხოვრებმა ადამიანებმა შესაძლებელია, ერთმანეთისგან განსხვავებული სმენა, აზროვნება და ქცევები გამოხატონ. თუმცა აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევებში, სხვებისგანაც ისეთივე აზროვნებასა და სხვადსხვა მდგომარეობის წინაშე ჩვენსავით მოქცევა გვსურს. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, როდესაც სხვები ჩვენსავით არ ფიქრობენ და არ აზროვნებენ, მათ ვადანაშაულებთ. გამომდინარე აქედან, საკუთარ თავს სამართლიანად, ხოლო სხვებს უსამართლოდ მივიჩნევთ. ადამიანებს შორის ურთიერთობის დროს პრობლემებიც სწორედ ამიტომ იჩენს თავს. მიზეზი ისეთია, სხვებს ვერ ვუგებთ.

თუკი შევძლებთ საკუთარი ეგოისტური გრძნობების დაოკებას და მისგან თავს შორს დავიჭერთ, აგრეთვე საკუთარ თავს სხვების ადგილას წარმოვიდგენთ და მოვლენებს ასეთნაირად შევხედავთ, ამ შემთხვევაში სხვადასხვაგვარიაზროვნებისადაქცევების მიზეზს უკეთ გავიგებთ, რის შედეგადაც ადამიანებს შორის ჩვენი ურთიერთობა უფრო საუკეთესო და მიზანმიმართული იქნება.

თუ დავინახავთ, რომ ყველა ადამიანის მიზნები სხვადასხვა მიმართულებით მიედინება და სოციალურ მთლიანობაში საკუთარ თავზე მინიჭებულ უფლებებს სხვებისთვისაც ვცნობთ, მაშინ შესაძლებელი იქნება უზრუნველყოფილი იყოს სოციალური ჰარმონია.

პიროვნულობა, ინდივიდუალური განსხვავების საკითხის არსს წარმოადგენს. ვინაიდან, ყოველი ადამიანი სხვების მსგავსია და მათთან ერთად საერთო თვისებებს ატარებს.

პიროვნებას, როგორც სოციალური ასევე ინდივიდუალური მხარე გააჩნია. სრულფასოვან სადამიანში ეს ორი მხარე ერთ მთლიანობას წარმოადგენს. მთლიანობაში როგორც ქცევათა ჰარმონია, ასევე მისი ხანგრძლივობაა ნაგულისხმები.

როგორც ცნობილია, საკუთარი თავის განვითარებაში ინდივიდს, ცვალებადი და

უცვლელი მხარეები გააჩნია. ეს ისეთივეა, როგორც ზღვის ზედაპირი და ფსკერი. ზღვის ზედაპირი სხვადასხვა დროს გარკვეულ ფორმალურ ცვალებადობას განიცდის, ხოლო ფსკერი უცვლელი რჩება.

პიროვნულობა და რელიგია

ადამიანს, მატერიალური არსებობისთვის სხეული სჭირდება, ხოლო სხეულს მოთხოვნილებები, უნარ-ჩვევები და ნიჭი გააჩნია. ამასთანავე სულიერი არსებობისთვის სული სჭირდება, რომელსაც ანალოგიურად მოთხოვნილებები, უნარები და ნიჭი გააჩნია. როდესაც საუბარია პიროვნებაზე, მაშინ ეს ყველაფერი ერთად არის ნაგულისხმევი. აგრეთვე მასში, თვალის ფერიდან დაწყებული შეგნების დონემდე მისვლამდე, ყველაფერი ინდივიდის ცნებაშია ჩადებული. სწორედაც ამ სტატიაში მინდა მოგითხროთ, სულის ერთ უმთავრეს მოთხოვნილებაზე, რომელსაც წარმოადგენს „რწმენა“ და ასევე იმაზე, თუ რა როლი აკისრია რწმენას პიროვნების ცხოვრებაში.

ისე როგორც ყვავილის ზრდა-განვითარებაში გარკვეული საჭიროებების უგულებელყოფა (მაგალითად: მორწყვის დაგვიანება, ან არასაკმარისი მორწყვა) მის განვითარებას დააბრკოლებს, ასევე ადამიანის, როგორც სხეულის, ასევე სულის საჭიროებებს თუკი ყურადღებას არ მივაქცევთ და უგულებელვყოფთ, მისი სრულყოფილ ინდივიდად ჩამოყალობება დაბრკოლდება, რაც ადამიანის ჯანსაღ პიროვნებადჩამოყალიბებასხელსშეუშლის. გამომდინარე აქედან, ადამიანის ძირითადი სულიერი მოთხოვნილება რელიგიაა. თუკი ეს მოთხოვნილება საკმარისად არ იქნება დაკმაყოფილებული და საამისოდ ნიჭი არ იქნება, განვითარებული ადამიანის ეს მხარე სუსტად დარჩება. რაც იმას ნიშნავს, რომ პიროვნებისგან მოსალოდნელი ზოგიერთი ქმედებები საჭიროებისამებრ არ იქნება შესრულებული. ისე როგორც ადამიანი, საკმარისზე ნაკლებად განვითარებული ფეხებით, ვერ შეძლებს თავისუფლად სიარულს და სხვების მსგავსად ვერ იტვირთებს მძიმე ტვირთს, ანალოგიურად, იმ ადამიანისგან, რომელსაც რელიგიური ცოდნა საკმარისად არ ექნება მიღებული, პასუხისმგებლობის გრძნობა არ ექნება განვითარებული, შეუძლებელია ჯანსაღ და უსაფრთხო პიროვნების ჩამოყალიბებას ველოდოთ.

აღსანიშნავია, რომ რელიგია ინდივიდს უზენაეს გამჩენთან აკავშირებს, მისი სულიერი მოთხოვნების მართვით ცხოვრებას დისციპლინირებულს ხდის. რელიგია ასევე ადამიანზე პასუხისმგებლობის გრძნობის დაკისრებისა და მისი სათნოების წყაროა. ადამიანი რელიგიის საშუალებით ისწავლის, თუ სად უნდა გამოიჩინოს თავგანწირვა, სად დაიცვას საკუთარი თავი და მატერიალური თუ სულიერი ფასეულობები. აგრეთვე ადამიანი

რელიგიის საფუძველზე ისწავლის, თავისი სიცოცხლის, არსებობის მნიშვნელობას და მიზანს. რელიგია კულტურაა, ცხოვრების სტილია, მთელი ცხოვრების სათავე და საფუძველია. პიროვნება რწმენის წყალობით ცხოვრების მნიშვნელობას შეიცნობს და საზოგადოების წესრიგს უზრუნველყოფს. გამომდინარე აქედან, რელიგია ისე როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სოციალური სინამდვილეა.

რელიგია არის იმის წინაპირობა, რომ პიროვნებამ თავი ადამიანად იგრძნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია, ადამიანის თვისებების უმეტესი ნაწილი სრულფასოვნად განვითარდეს. ვინაიდან, გრძნობას, აზროვნებასა და სურვილებს შორის წონასწორობას ვერ დაამყარებს. ადამიანში როგორ უნდა განვითარდეს უსასყიდლოდ დახმარების, მადლიერებისა და კეთილგანწყობის გრძნობები? ჟინი როგორ უნდა დაამარცხოს? ადამიანმა როგორ უნდა შეძლოს იყოს ერთდროულად ხელმომჭირნე, ყაირათიანი, სამართლიანი და გამგებიანი. სწორედ რელიგიაა, რომელიც ადამიანში ასეთ თვისებებს ავითარებს. ამგვარად რელიგია, პიროვნებასა და საზოგადოებას ჭეშმარიტებასა და სამართლიანობასთან აკავშირებს. ხალხს მატერიალისტური გაუტანლობისა და უთანხმოებებისგან იცავს.

პიროვნებად ადამიანისა და მისი ხასიათის ჩამოყალიბება თანდაყოლილი და შემდეგში შეძენილი უამრავი ფაქტორის ზეგავლენის შედეგია. ზოგადად საუბარია, ადამიანის რწმენასა და პიროვნებას შორის ურთიერთკავშირზე. რელიგია გრძნობებს, სურვილებს, რწმენას, სამყაროსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებში იჩენს თავს, მთელ ფსიქოლოგიურ ცხოვრებას თავისთავზე იღებს და პიროვნებაში აისახება.

თითოეული ჩვენგანი კარგად ვხედავთ, რომ რწმენასა და პიროვნებას შორის აუცილებელი ურთიერთკავშირი არსებობს. საყურადღებოა, რომ პიროვნების მიერ რწმენის გათავისების ძალა, ზოგადად მის ხასიათში გამოვლინდება. ანალოგიურად ძლიერი და ჯანსაღი სულის მქონე ადამიანს მტკიცე რწმენა და რელიგიისადმი ინტერესი გააჩნია.

მიბაძვისათვის ჭეშმარიტად ლირსეული

თარგმნა: გ. ხოზრევანიძემ

ნებისმიერ სრულყოფილ ადამიანზე საზოგადოებაში საკუთარი წარმოდგენა აქვთ. როგორც წესი, ამ საკითხთან დაკავშირებით არის ან იქმნება ქცევის უნაკლო მოდელი, განსაზღვრული კატეგორიის ადამიანებისათვის ყველა მოთხოვნაზე მთლიანად პასუხისგამცემი. ზნეობრიობისა და მორალის თვალსაზრისით, ასეთ პრაქტიკულ მოდელს განეკუთვნება ადამიანის მშვენიერი თვისებების განმასახიერებელი სანიმუშო პიროვნება. განსაზღვრული კანონების დაცვით, რომელიღაც წესებზე ბრმად გაყოლა და ამასთანავე წაყენებული მოთხოვნების იდეალურად შემსრულებელ და დადგენილი ნორმებით მცხოვრებ ადამიანის მაგალითის დაუნახავობა, უსიტყვოდ, ნებისმიერი ჩვენთაგანისათვის ძნელია. მით უფრო, როცა დრო და დრო ყოველ ადამიანს უჩნდება ახლომდგომზე ზემოქმედების ან ვიღაცის ზეგავლენის ქვეშ ყოფნის მოთხოვნილება, რაც თვითაღზრდის პროცესში მისაბაძი მაგალითის აუცილებლობას ქმნის.

როგორც ყურანშია აღნიშნული ხალხისათვის მისაბაძ და საუკეთესო ნიმუშად შუამავლები ითვლებოდნენ. მაგალითად, იბრაჰიმი, რომლის შესახებაც ალლაჰის წიგნში ასეა ნათქვამი: ***„უეჭველად, თქვენთვის საუკეთესო მაგალითია იბრაჰიმ(შ)ი და მისი თანმიმდევრებ(შ)ი...*** *(სურა მუმთეჰინე, აიათი 4).*

წმინდა მუჰამმედის (სელლელლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) მოსვლით ხალხს კვლავ უბრუნდება მათ მიერ მივიწყებული მაღალი ზნეობრიობის პოსტულატები.

იცვლება დროისა და ტენდენციის შეუსაბამო რაღაც ძველი, მტკიცდება ზოგიერთი ახალი დებულება, ოდესღაც უკვე არსებულ საერთო ადამიანურ ქცევის კოდექსსა და ცხოვრების სწორ წესთან ერთად.

ტერმინი „მაგალითი“ ყურანში აღინიშნება სიტყვებით „უსვა“ ან „ისვა“, რაც მუსლიმან მეცნიერ რაღიბ ალ-ისფაჰანის აზრით, აღნიშნავს ხასიათის თვისებას, კეთილს ან ბოროტს, მხიარულს ან მწუხარეს და ამასთანავე უნარის მქონეს გახდეს მიბაძვისათვის სანიმუშო მაგალითი. სიტყვა მაგალითი აღებულია ნიმუშის სახით, რათა სხვები მიჰყვნენ მას. ყურანში უზენაესი ალლაჰი შუამავალ მუჰამმედს წარმოგვიდგენს როგორც ადამიანური ცხოვრების, საუკეთესო ნიმუშს და ურჩევს ხალხს დაემორჩილონ მას, შემდეგ კი მიჰყვნენ მის რჩევებს: ***„ვფიცავ, შუამავალ(შ)ი არის საუკეთესო მაგალითი თქვენთვის;*** *(ასევე)* ***მათთვის, ვინც მოელის***

***ალლაჰ**(ის წინაშე წარდგომა)**ს, განკითხვის დღეს** (და მათთვისაც) **ვინც ხშირად ახსენებს ალლაჰს.“** (სურა „ალ-აჰზაბი“, 33/21).*

„ყველაზე ნორჩი ადამიანები ტყუილად ინსტიქტურად ხომ არ მიისწრაფვიან დიდი პიროვნებებისაკენ. ისინი ბუნდოვნად ან ნათლად ხედავენ მათში სანიმუშო სახეებს, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება გააჩნიათ მათ პირად მისწრაფებებთან.“

მ.მ.რუბენშტეინი

ისლამის მიხედვით, ყველაფერი, რაც სამყაროშია, შეადგენს ერთ მთლიანს. ადამიანი, ისე როგორც მდინარის წვეთი თავდაპირველად ზღვისკენ მიისწრაფვის, შემდეგ ოკეანისაკენ, ბოლოს კი საყოველთაო ერთობისკენ. ამის მიზეზი კი ისეთივეა, როგორც მსოფლიო მიზიდულობის კანონით მართვა—სიყვარული და ამასთან ერთად ერთმანეთისადმი სწრაფვაა საჭირო. ამ თვისების წყალობით სამყაროს ნებისმიერი პატარა ნაწილიც კი მიისწრაფვის ცენტრისკენ, სხვა საზოგადოებასთან შესაერთებლად. ასე, მაგალითად, მუსლიმანები თავიანთ ერთადერთ გამჩენზე ლოცულობენ და თავიანთ გულებში მისდამი სიყვარულს ზრდიან. უზენაესი ალლაჰი ყურანში ამბობს, რომ ადამიანის სრულყოფა მხოლოდ ღმერთსა და მისი შუამავალის სიყვარულის გაერთიანების შემთხვევაშია შესაძლებელი: *„(მუჰამმედ) **უთხარი: თუკი ალლაჰი გყვართ, მაშინ მე გამომყევით რათა ალლაჰმაც თქვენ შეგიყვაროთ და ცოდვები გაპატიოთ“.** (სურა ალი-იმრანი, აიათი 31).*

აქედან გამომდინარე ცხოვრების უმაღლესი წესის მაგალითებს ყველა ადამიანი საჭიროებს და ისინიც კი, ვინც საკუთარ თავს თვლიდა ან თვლის ალალმართლობის უფრო მაღალი საფეხურის უფლების მქონე პრეტენდენტად, ვიდრე სხვა მორწმუნეები. მიუხედავად განუწყვეტლივ ლოცვისა, ისლამის წესების მიხედვით დაწესებული დღეების გარდა ამ ადამიანების მიერ ზედმეტად შესრულებულ მარხვისა და ოჯახურ ცხოვრებაზე უარის თქმისა (რომელიც, მათი აზრით, ღმერთისადმი სრულყოფილ ღვთისმსახურების წინააღმდეგობაა), მათ უზენაესი ალლაჰი აგრეთვე ურჩევს მუჰამმედ შუამავლის კვალდაკვალ იარონ. ანას ბინ მალიქი მოგვითხრობს: „(ერთხელ) შუამავლის ცოლების სახლთან სამი ადამიანი მივიდა, რომლებმაც თითოეულ მათგანს გამოკითხეს, თუ როგორ ასრულებდა შუამავალი ალლაჰისადმი ღვთისმსახურებას, ხოლო როდესაც მათ ყველაფერი უამბეს, ცხადია, ჩათვალეს, რომ ეს არც თუ ისე ბევრია და წარმოთქვეს: „ჩვენ როგორ შორს ვართ შუამავლამდე, რომელსაც ყველა წარსული და მომავალი ცოდვები ნაპატიები აქვს!“ შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: „ხოლო რაც შემეხება მე, ყოველ ღამეს ლოცვასა და ღვთისმსახურებაში გავატარებ.“ მეორემ თქვა: „მე მუდმივად რამაზნით (მარხვით) ვიქნები დაკავებული.“ მესამემ კი დასძინა: „საერთოდ არ შევხედავ ქალებს და არასოდეს დავქორწინდები!“ (რამოდენიმე ხნის შემდეგ მათთან) ალლაჰის შუამავალი მივიდა და უთხრა:

„ეს თქვენ ლაპარაკობდით ასე? ვფიცავ უდიდეს ღმერთს მე თქვენზე მეტად მეშინია ალლაჰის, ზოგიერთ დღეებში მე ვმარხულობ, მაგრამ არ ვაკეთებ იმავეს სხვა დღეებშიც, მე ვლოცულობ (ღამ – ღამობით) და მძინავს კიდეც, ქალებთან ვაწარმოებ საქორწინო ურთიერთობას, ხოლო მას, ვისაც არ სურს (მისდიოს) შუამავლის სუნნეთს, მას ჩემთან არავითარი კავშირი გააჩნია!“ (ბუჰარი, „ქითაბუ ნიქაჰ,“ I).

ადამიანს შუამავლის სიყვარულის მეშვეობით უნარი აქვს სრულყოს საკუთარი რწმენა. ამ საკითხთან დაკავშირებით მუჰამმედ შუამავალი თავის მოსაზრებას არაერთგზის ასე გამოთქვამდა: „რწმენა—ის სიყვარულია ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი, რომელიც დანარჩენ ყველაფერზე მაღლა უნდა იყოს“ (იბნ ჰანბალი, „მუჰამმედი,“ 4; 11) და ვფიცავ ალლაჰს, ვის ხელშიცაა ჩემი სული, თქვენგან ვერავინ ჩაითვლება, მორწმუნედ, მანამდე, ვიდრე მე არ გავხვდები თქვენი მამის, შვილებისა და დანარჩენი სხვა ადამიანებზე უფრო მეტად საყვარელი და ახლომყოფი “ (ან კიდევ, როგორც ამ ჰადისის განმარტებლები ამბობენ, ასეთი ხალხის რწმენა არასრული იქნებაო (მუსლიმი, „იმანი“, 6-70; ბუჰარი, იმანი, 8).

ამრიგად, ჩვენ ვალდებული ვართ საკუთარ თავში გავზარდოთ ალლაჰის შუამავლისადმი სიყვარული, რომელსაც თავის მხრივ აგრეთვე უყვარს საკუთარი უმმეთი (მიმიდევრები). ჩვენდამი მისი ღრმა სიყვარულის შესახებ ყურანში ნათქვამია, რომ: ***„ვფიცავ თქვენთან მოვიდა შუამავალი ისევ თქვენგანვე, მისთვის სმძიმოა ის რომ განსაცდელში სცვივდებით, იგი თქვენზეა გადაყოლილი და მორწმუნეთა მიმართ შემბრალებელია, მოწყალეა“.*** *(სურა თევბე, აიათი 128).*

როგორც ვხედავთ ამ აიათში უზენაესი ალლაჰი წმინდა შუამავლას სამყაროთა მწყალობლად მოვლენილს, შემბრალებელს (რაუფს) და მოწყალეს (რაჰიმს) უწოდებს. ეს შემთხვევითი არაა, მისი გულმოწყალების, სიფაქიზისა და თანაგრძნობის მაგალითები ალლაჰის მიერ გაჩენლ ყველა არსებისადმი, ჩვენამდე შუამავლის უამრავი ჰადისების და მისი ცხოვრებისეული წესების აღწერის მეშვეობით მოვიდა. ამ უმშვენიერესი თვისების საფუძველში ხომ სიყვარული დევს.

ამრიგად, ის, ვინც ალლაჰის შუამავალს შეიყვარებს, გადარჩება. ამასვე მოწმობს მისივე ჰადისი: „ერთმა ადამიანმა შუამავალს ჰკითხა: „როდის დადგება სამყაროს დასასრული?“ პასუხის მაგივრად შუამავალმა მას ჰკითხა: „შენ რა მოამზადე ამ დღისათვის?“ თანამოსაუბრემ უპასუხა: „მე კეთილი ქმედებები ცოტა მაქვს, მაგრამ ალლაჰი და მისი შუამავალი ძალიან მიყვარს,“ -რაზეც ალლაჰის შუამავალმა შემდეგნაირად უპასუხა: „ადამიანი მასთან ერთადაა, ვინც მას უყვარს“. *(ბუჰარი, ადაბი, 96; მუსლიმი, 165; თირმიზი, ზუჰდი, 50).* მოცემული ჰადისის გადმომცემი ენას ბინ

მალიქი დაკავშირებით დამატებით გადმოგვცემს: „ისლამის მოსვლის შემდეგ მე არ მინახავს სხვა არაფერი, რასაც ასე გაეხარებინა მუსლიმანები, როგორც ამ ამბავს“.

რომ შეიყვარო ალლაჰის შუამავალი, იარო მისი გზითა და მიბაძვით, ბევრი მოთმინება და ნებისყოფაა საჭირო. ალლაჰის შუამავლისადმი მასაზრდოებელი სიყვარული, ღვთაებრივი სიყვარულის საწყისი და უკანასკნელი სტადიაა.

ღვთისმსახურების, თვით აღზრდისა და მორჩილების პერიოდი არის ნიმუშის მოდელთან შერწყმის სტადია, რაც ნეფსისათვის (ცდუნება) ძალიან ძნელად მისაღებია. ადამიანის ცვალებადი თვისება - ნაფსი (ცდუნება) არ ეძებს მორჩილებისაგან განთავისუფლების გზებს, ცდილობს ადამიანს ღვთაებრივი სიყვარულის, სილამაზისა და მთლიანად ალლაჰის წყალობის დამაშორებელ, გარდამავალ და მატყუარა გართობებისკენ უბიძგოს. არის ხიფათი ეს დროებითი გართობა და მისწრაფება მართლაც ნამდვილ სიყვარულად იქნას მიღებული. აი, რატომ არის ასეთ პერიოდში აუცილებელი განსაკუთრებული სიმტკიცით იყო მორჩილი და გაჰყვე ალლაჰისა და მისი შუამავლის ბრძანებებს. ნაფსის (ცდუნება) აღზრდის ყველაზე საუკეთესო თვისება არის შემდეგი მეთოდი: გაექცე ყველაფერს, რაც მოსწონს ეგოს, ან კიდევ იმას, რის ლამაზადაც წარმოდგენას ის ცდილობს და პირიქით, იჩქარო ყველაფერი გააკეთო ისე, რაც ნაფსისათვის მოჩვენებითი და ძნელია.

უეჭველია, არც ისე ადვილია, უარი თქვა ყველაფერ წარმავალზე და მარადიულობასთან მიხვიდე. მისკენ გზა კი გულახდილ საუბარშია.

ეს შუამავლის ვედრებაა. ამ ვედრებასთან ერთად მუჰამმედ შუამავალი მოიხსენებდა შუამავალ დაუდის ასეთ ვედრებას: „ოჰ, ალლაჰო, მომეცი ძალა მიყვარდე შენ და ისინი, ვინც გიყვარს შენ და მომეცი შესაძლებლობა მოვიქცე ისე, რომ მივუახლოვდე შენ სიყვარულს! ოჰ, ალლაჰო, შენი სიყვარული აქციე ჩემი ნაფსის (ცდუნების), ოჯახისა და ცივ წყალზე უფრო ძვირფას (სიამოვნებად)!“ ამ ჰადისის გადმომცემი ებუ დერდა დამატებით განმარტავს: „ახსენებდა რა დაუდის სახელს ალლაჰის შუამავალი ასე ამბობდა: „ის იყო ალლაჰის ერთ-ერთი ყველაზე ღვთისმოშიში მონამსახურთაგანი“.

ამრიგად, სიყვარული ეგრეთწოდებულ ჯაჭვისა „მოდელი-წესი-ადამიანი“ მთავარი მაკავშირებელი რგოლია. პიროვნებებს, მოდელებსა და უბრალო ხალხს შორის უსიყვარულობა, ცხოვრებაში ჭეშმარიტი სულიერების აღმავლობის გზების ცოდნა, დიდი ადამიანების ღირსეული წოდება, ყველაფერი ეს დარჩება მხოლოდ ისტორიად და ვერ შეძლებენ შემდგომ თაობებზე რაიმე აღმზრდელობითი ზემოქმედება მოახდინონ.

ყოველ ერს ან ნებისმიერ სხვა საზოგადოებას ყოველთვის ჰყავდა განსაზღვრული პიროვნება - მოდელი, სახალხო გმირები, რომლებსაც გააჩნდათ ზემოქმედების უნარი, როგორც მომწიფებულ, ზრდასრულ თანამედროვეებზე,ასევე ახალგაზრდობაზე. საზოგადოება, რომელიც თავისი კერპების სრულყოფილებისთვის კარგავს სარწმუნოებას, გადაშენებისათვისაა განწირული. ხოლო საზოგადოებაში, სადაც ჰყავდათ თავიანთი გმირები, რომლებიც შეიძლებოდა წარედგინათ მთელი თაობებისათვის, პირიქით, ადვილი იყო მართვა, სოციალური განვითარება და საყოველთაო აღზევება. ეს ყველაფერი კი ერთხელ კიდევ მოწმობს იმის შესახებ, რომ ადამიანთა განვითარების მთელ ისტორიულ ეტაპზე, მიბაძვისთვის სწორი მოდელების მოძებნა ძალიან მნიშვნელოვანია. გავიხსენოთ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ეგრეთწოდებული კულტურული რევოლუციის შედეგად დასავლეთში, როგორ შეიცვალა ღირსეული ცხოვრების მაგალითის თვისებით წარმოდგენილი საზოგადოების მოდელი. დასავლეთელმა მეცნიერებმა და მოაზროვნეებმა გაცხოველებითა და გატაცებით დაიწყეს პიროვნების ახა-

ლი ტიპების შექმნა, რომლებზეც, მათი აზრით, ღირდა მიბაძვა. შემდეგ მათ ტელევიზიისა და თეატრის მეშვეობით წარმოადგენდნენ. მეოცე საუკუნის იდეოლოგებს არ დავიწყებიათ წარსულის სამაგალითო ადამიანების არსებობის შესახებ, რომელთა ცხოვრებისა და ქცევის წესებს ეხლა სრულიად ახალი პოზიციიდან განიხილავენ, როგორც ისტორიული აზროვნებისგან ძირფესვიანად განსხვავებულს, რამაც დასავლეთელი მეოცე საუკუნის ადამიანი აღზრდის სხვა მეთოდებთან მიიყვანა.

მაგრამ ძალიან მალე, გასული ასწლეულის მეორე ნახევარში, არა მარტო დასავლეთელი, არამედ ისლამურმა სამყარომაც ნაჩქარევად, განგაშის ატეხვით, შეეცადა, ევროპისა და ამერიკის კულტურა გადაეღოთ. ამრიგად, მუსლიმანებმა საკუთარ ცხოვრებაში კვლავ და კვლავ დაიწყეს ისლამის როლის გადააზრება, დაუბრუნდნენ ისლამის ისტორიაში გამოჩენილ პიროვნებებს, რომელთა სათავეში, რა თქმა უნდა, იდგა და დგას მუჰამმედ შუამავალი.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ისლამური სამყაროს ფარგლებს გარეთ და დასავლეთში, ყველაზე გამოჩენილ ადამიანთა ცნობილ სიას სათავეში წმინდა მუჰამმედი უდგას. ამრიგად, მიბაძვისთვის საუკეთესო მოდელი, სანიმუშო პიროვნება, მაღალი სულიერებისა და ზნეობრიობის მაგალითი, ალლაჰის უკანასკნელი შუამავალი მუჰამმედია. თუნდაც ცოტათი მაინც მისი მსგავსინი, რომ ვიყოთ, თავდაპირველად ის უნდა შევიყვაროთ, რადგანაც სიყვარული და ცოდნა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. როდესაც ერთი ადამიანი მეორეს შეიყვარებს, შემდგომ მას სურს გახდეს თავისი რჩეულის მსგავსი. არ არის არაფერი იმაზე უფრო უკეთესი, ვიდრე გაჰყვე იმ ადამიანის გზას, ვისაც შესწევს უნარი თქვენ იმ სიმაღლემდე აგიყვანოთ, რომელსაც უამრავმა გამოჩენილმა ისტორიულმა პიროვნებამ, მუჰამმედ შუამავლის მაგალითის მიბაძვით მიაღწია.

„ო ალლაჰო, მომეცი ძალა მიყვარდე შენ, მიყვარდეს ისინი, ვისაც უყვარხარ შენ და აგრეთვე ისინი, ვისაც უყვარს ყველაფერი ის, რაც აახლოებს შენ სიყვარულთან!“

ამინ!

თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მუსლიმი ნიკოლა ანელკა

გიორგი ჯამლაძე

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მუსლიმი ნიკოლა სებასტიან ანელკა დაიბადა საფრანგეთში, ვერსალში 1979 წელს. საკუთარი კარიერა მან პარიზულ „პარისენჟერმენში“ (პ.ს.ჟ) დაიწყო, თუმცა მალე, 1997 წლის დასაწყისში, 17 წლის ასაკში ლონდონის „არსენალში" გადავიდა, სადაც მაშინვე დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ინგლისში სეზონის საუკეთესო ახალბედა ფეხბურთელი გახდა. პირველი გოლი მან მანჩესტერ იუნაიტედს გაუტანა და ეს შეხვედრა მისმა კლუბმა 3:2 მოიგო.

1999-2000 წ.წ. სეზონში ანელკა 22 მილიონ გირვანქა სტერლინგად მადრიდის რეალმა შეიძინა და მიუხედავად იმისა, რომ უეფას ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მან გერმანულ ბაიერნს ორი გოლი გაუტანა, კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. 20 მილიონ დოლარად ის ისევ პ.ს.ჟ-მ გამოისყიდა. ფრანგულ გუნდში მან 18 თვის განმავლობაში 18 გოლი

გაიტანა, რის შემდეგაც ნიკოლა, არენდის სახით, ლივერპულში გაანათხოვრეს, თუმცა „ენფილდ როუდზე" ის თანამემამულე მწვრთნელის, ჯერარ ულიეს სათამაშო სქემას ვერ მოერგო და მანჩესტერ სიტიში გადავიდა. „ქალაქელთა" შემადგენლობაში, რომელსაც მაშინ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელი კევინ კიგანი წვრთნიდა, ორი სეზონის განმავლობაში მან 46 ბურთი გაიტანა, აქედან ერთი პენალტით, ჩელსის კარის ბადეშიც მოახვედრა. ამ გოლის წყალობით 2003-2004 წ.წ სეზონში ჟოზე მაურინიოს კლუბი ერთადერთხელ დამარცხდა. მიუხედავად იმისა, რომ მასზე პრეტენზიას მდიდარი ევროპული კლუბები აცხადებდნენ, ის 2006-2007 წ.წ. სეზონში თურქულ „ფენერბაჰჩეში" გადავიდა, სადაც წელიწადნახევარი დაჰყო, შემდეგ კი იმის გამო, რომ კლუბის მწვრთნელთან, წარსულში ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელთან ზიკოსთან კონფლიქტი მოუვიდა, ის 8 მილიონ ფუნტ სტერლინგად ისევ ინგლიში, ამჯერად ბოლტონის შემადგენლობაში დაბრუნდა. ახალი გუნდის მთავარი მწვრთნელი ბრიტანეთში ცნობილი სპეციალისტი სემ ელადრაისი ანელკას ასე ახასიათებდა:

„ნიკოლა შესანიშნავი მოთამაშეა. მას პრემიერ-ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. მინდორზე მისი მთავარი თვისებები მოთმინება და სიმშვიდეა. ის დაბადებულია იმისათვის, რომ გოლები გაიტანოს. ჩვენ უდიდესი ძალისხმევა შევალიეთ იმას, რომ ის საკუთარ გუნდში გვეხილა."

„წელიწადნახევრის განმავლობაში მან ბოლტონის შემადგენლობაში 52 მატჩი ითამაშა და 22 გოლი გაიტანა

2007 წლის იანვარში ანელკამ განაცხადა, რომ ისურვებდა არსენალში დაბრუნებას, სადაც თავისი კარიერა დაიწყო.

შესანიშნავი იქნებოდა თუ საფეხბურთო მინდორზე არსენალის მაისურით გავიდოდი, ეს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია დიდი ამბიციებით, ხოლო არსენ ვენგერი მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა რიგებში შედის. „ჰაიბერზე" უამრავი საუკეთესო წუთი გავატარე. ჩემ ცხოვრებაში არსენალის წვლილის შეუფასებლობა შეუძლებელია."

2008 წლის 11 იანვარს ნიკოლა ბოლტონიდან ჩელსიმ გამოისყიდა. თავისი პირველი გოლი ჩელსის შემადგენლობაში მან პორტსმუთს გაუტანა. მომდევნო სეზონის დასაწყისში არისტოკრატთა ძირითადმა თავდამსხმელმა, კოტ დივუარელმა დიდიე დროგბამ ტრამვა მიიღო და ამიტომ ნიკოლამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა. მან იმ სეზონში 19

ბურთი გაიტანა და პრემიერ-ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თავისი პირველი ჰეთ-რიკი მან სანდერლენდთან მატჩში შეასრულა, რომელშიც ჩელსიმ მეტოქე 5:0 გაანადგურა. იმავე წელს მან თავის ყოფილ კლუბს არსენალს სტუმრად „ჰაიბერზე გაუტანა“ და თავისი წვლილი შეიტანა, ბოლო 35 წლის მანძილზე საკუთარ მინდორზე მეთოფეთა მიერ განცდილ ყველაზე სასტიკ დამარცხებაში. ეს ლონდონური დერბი ჩელსიმ ანგარიშით 4:1 მოიგო.

2010 წელს ნიკოლამ კონტრაქტი ჩელსისთან 2013 წლამდე გაახანგრძლივა. მან თქვა:

„ჩელსიში ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ახლა ბედნიერი ვარ, მაგრამ კიდევ უფრო მოხარული ვიქნები, თუ წელს ინგლისის ჩემპიონები გავხდებით. აქამდე სხვა უდიდეს კლუბებშიც ვთამაშობდი, მაგრამ ჩემ ასაკში სასურველია სტაბილურობა საჭიროა გახდე იმ კლუბის ნაწილი, რომელიც შენი სახლია. ახლა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვთამაშობ და სხვაგან გადასვლას არ ვაპირებ.“

საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში მან გამოსვლა 1998 წლიდან დაიწყო. 2000 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი, ხოლო მომდევნო წელს ნაკრებთან ერთად კონფედერაციის თასიც მოიგო. 2000 წელს სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის დროს, ნაკრების მწვრთნელთან, რაიმონდ დომინიკთან მომხდარი კონფლიქტის გამო მას საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ 18 თვის განმავლობაში ნაკრებში თამაში აუკრძალა.

2004 წელს მეგობრებთან საუბრის შემდეგ, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში ანელკამ ისლამი მიიღო და ჭეშმარიტ მორწმუნეთა რიგებს შეუერთდა. მას ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. ის საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობის გაგრძელებას კინოინდუსტრიაში აპირებს. ნიკოლა ანელკა პრემიერლიგის თხუთმეტ ყველაზე მდიდარ ფეხბურთელთა რიცხვში შედის.



შესანიშნავი იქნებოდა თუ საფეხბურთო მინდორზე არსენალის მაისურით გავიდოდი, ეს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია დიდი ამბიციებით, ხოლო არსენ ვენგერი მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა რიგებში შედის. „ჰაიბრზე“ უამრავი საუკეთესო წუთი გავატარე. ჩემ ცხოვრებაში არსენალის წვლილის შეუფასებლობა შეუძლებელია.“

ჩასჭიდე მას ხელი

უშანგი მოლოქვაძე

(ო, შუამავალო!) სანამ შენ მათ შორის იქნები, ალლაჰი მათ სასჯელს არ მიუზღავს. *(სურა ენფალი, აიათი 33)*

„(მუჰამმედ) უთხარი: თუკი ალლაჰი გყვართ, მაშინ მე გამომყევით რათა ალლაჰმაც თქვენ შეგიყვაროთ და ცოდვები გაპატიოთ“. *(სურა ალი იმრანი, აიათი 31)*

ზემოთ მოცემული აიათებიდან გამომდინარე, რამდენიმე დამაფიქრებელი წინადადებით კიდევ ერთხელ ვისურვეთ თქვენ გულებში გაგვეღვივებინა უკეთილშობილესი მუჰამმედ შუამავლის სიყვარული და შეგვეხსენებინა, რომ მასზე მორჩილება და სიახლოვე უზენაესი ალლაჰის სიყვარულს ნიშნავს.

მისკენ იარე,

მისკენ გაეშურე,

ხელი მასჩასჭიდე,

მასთან ერთად იცხოვრე,

მას მიეკედლე,

მასთან ერთად იყავი,

მისი ნატვრით აღივსე,

მისი ხმა გესმოდეს

ის შენში იგრძენი,

მისი ძახილი გულში შეინახე,

მისი სილამაზით შეიმოსე,

მისი ზნეობით მოირთე,

ის შეიცანი,

ის იპოვე,

ის შეისწავლე,

მას დაემსგავსე,

შენი მეგზური ის იყოს,

მის კვალს გაჰყევი,

მისი სინათლით განათდი,

მის მსგავსად შეევედრე,

ალლაჰის წინაშე მის მსგავსად წარსდექი,

გული ისე გიძგერდეს, როგორც ალლაჰის წინაშე დგომის დროს, მას უთრთოდა,

მის მსგავსად იცხოვრე,

ალლაჰს მის მსგავსად მიეკედლე ,

ეცადე, რომ მისი ძმა გახდე,

მიზნად გქონდეს ქევსერის წყაროსთან მასთან შეხვედრა,

ადგილი მის მეგობრებს შორის დაიმკვიდრე,

არ დაივიწყო ის,

გიყვარდეს ის,

შენი გული მისი სიყვარულით დაატკბე ,

გული მისი სიყვარულით გაითბე ,

როცა გზა და აზრები აგერევა, მას მიმართე,

გეშინოდეს, რათა მის გარეშე არ დარჩე,

გეშინოდეს, რომ მასთან ერთად მგზავრობისას მას არ ჩამორჩე,

მისი განაწყენების გეშინოდეს,

გაუფრთხილდი მისგან შორს დარჩენას,

ოჯახი მისი სიყვარულით შეამკე,

შვილები მას დაუმეგობრე,

ის სახლში სტუმრად იგულე,

სამყაროსთვის მის მსგავსად მოწყალე იყავი,

ყოველი ამოსუნთქვისას თავი მასთან ერთად იგრძენი.

წმინდა სალიჰი

ოსმან ნური თოთაბაში

სალიჰი, წმინდა ადამის მეცხრამმეტე თაობის შვილიშვილი და სოდომის ტომისთვის მოვლენილი შუამავალი იყო.

სოდომის ტომი

სოდომის ტომმა ეს სახელი ნუჰის შვილის, სემის შთამომავალ სოდომისგან მიიღო. სოდომი და მისი თანმხლები პირები დამასკოსა და ჰიჯაზს შორის მდებარე ჰიჯრის მხარეში დასახლდნენ. აქედან შემდეგ გომორის ტომის მხარეში გადავიდნენ. სოდომის შთამომავლები გამრავლდნენ და ერთ გვარად, შემდეგში კი - ტომად იქცნენ. ამ ტომს ადი სანი ანუ გომორი ეწოდა.

ის სიკეთეები, რაც გომორის ტომს გააჩნდა, სოდომის ტომსაც ეწყალობა. როგორც გომორის ტომი, ესენიც უგულისყურობასა და ცთომილებაში გადავარდნენ. სოდომის ტომი მაგალითად არ აიღეს... თავაშვებულობის მიზეზით, გომორის ტომის განადგურება, მათ სატანჯველად კი არ ჩათვალეს, არამედ დაუდევრად თქვეს:

„მათ სახლები სილაზე ააგეს და ამიტომ ისინი მყარი არ იყო. ამის გამო განადგურდნენ. ჩვენ კი სახლები მყარ კლდეებზედ ავაგეთ. ქარიშხალი ვერანაირ ზიანს ვერ მოგვაყენებს.“

სოდომის ტომიც, ისე როგორც გომორის ტომი, ძლიერი ადამიანებისგან შედგებოდა. ეს განვითარებული ცივილიზაციის ხალხი იყო. მათი ყველაზე დიდი ოსტატობა ის იყო, რომ მთებს ჭრიდნენ და სასახლეებს აშენებდნენ. უზარმაზარ მთებს, გიგანტურ კლდეებს ხვრეტდნენ და ფორმას აძლევდნენ. ხელოსნები ქვებს ნებისმიერ ფორმას ანიჭებდნენ.

ტომის ბელადი ჯენდა იყო. სოდომის ტომმა ერთმანეთში მოითათბირა და ჯენდას ისეთი კერპის გაკეთება სთხოვა, არცერთ სხვა ტომს რომ არ ჰქონდა. ჯენდა სიამოვნებით დათანხმდა. ამის შემდეგ მთაზე ავიდნენ და დიდი კლდე ამოთალეს. კერპს თვალის, მსხილფეხა საქონლის მკერდის, ცხენის ფეხის მსგავსი ფორმები მისცეს და ვერცხლითა და ოქროთი დაფარეს. შემდეგ კი, სხვადასხვა ძვირფასეულობით შეამკეს, მის პირისპირ დადგნენ და სეჯდე შეუსრულეს.

ამ კერპის დამზადების შემდეგ, სოდომელებმა კერპების სახლი ააშენეს. დაამზადეს კერპები სახელად: ვედდი, ჯედდი, ჰედი, შემსი, მენაფი, მენათი, ლათი და მათ თაყვანისცემა დაუწყეს. ამგვარად, კერპების სახლი პირველად ისტორიაში მათ გააკეთეს.

სალიჰი ხალხთან ერთად ცხოვრობდა. ვაჭრობით იყო დაკავებული, საკუთარი შრომით ირჩენდა თავს. ხალხს ის ძალიან უყვარდა იმის გამო, რომ პატიოსანი, კეთილი და ნიჭიერი იყო. მომავალში მისგან

ბევრს ელოდნენ. მისი ბელადად ქცევაც კი უნდოდათ, მაგრამ მას უზენაესმა გამჩენმა შუამავლობა დააკისრა.

ქადაგების დაწყება

სალიჰი ორმოცი წლის რომ შესრულდა, მთავარანგელოზმა ჯებრაილმა მას შუამავლობის მისია ამცნო. თავიდან, იმის გამო, რომ მისი ტომი მონოთეისტურ რწმენას არ აღიარებდა, უკან დაიხია, მაგრამ ჯებრაილმა უთხარა:

„სალიჰ, მიდი და შენს ტომს მონოთეიზმი უქადაგე!“

„სალიჰ, შენ ისეთი მოვლენების მეთვალყურე გახდები, ნუჰისა და ჰუდის დროს რომ არ ხდებოდა!“— უთხრა და ცად ამაღლდა.

სალიჰი თავდაპირველად ტომის ბელად ჯენდასთან მივიდა და ალლაჰის რწმენა უქადაგა. ჯენდამ ამ ქადაგებას გონივრული პასუხი გასცა:

„ამას ტომს შევატყობინებ, თუ წინააღმდეგი არ იქნებიან, ერთად გამცნობთ!“

ამის შემდეგ ჯენდამ ტომი შეკრიბა. მათ ამცნო, რომ სალიჰს შუამავლობა დავალებოდა და მის მიერ ნაქადაგევი მონოთეისტური რწმენის შესახებ მოუთხრო. ტომმა უთხრა:

„ჯენდა, მოვიდეს და თვითონ გვითხრას!“

ამის შემდეგ სალიჰი მივიდა და მათ მონოთეისტური რწმენის შესახებ მოუთხრო. თუმცა მაშინ, მონოთეისტური რწმენა ძალიან ცოტა ვინმემ აღიარა.

მიუხედავად ამ ჭეშმარიტი და ბრძნული რჩევებისა, სალიჰს გაზვიადებული ტყუილების მოგონება დააბრალეს:

„განა ჩვენს შორის ღმეთის ხსენება, *(ზეშთაგონების მიღება)* ***მასზე დარჩა? არა, იგი მატყუარა და თავგასული ვინმეა“.*** *(სურა ყამერი, აიათი 25)*

მათ სალიჰს შემდეგი უბრალო მიზეზების გამო არ დაუჯერეს:

„შენ ჩვენი ქონების მითვისება და ბელადობა გინდა!“

შემდეგ ლოგიკური კითხვა დაუსვეს:

„ჩვენ კერპები გვაქვს! ჩვენ მივატოვოთ ხილული ღმერთები და თაყვანი ვსცეთ თვალით უხილავ ალლაჰს?! უჩინარმა ალლაჰმა შენ როგორ დაგავალდებულა?! თუ სიმართლეს ამბობ, გაგვიკეთე ისეთი რამ, რაც არავის გაუკეთებია!“

„შენ ჩვენი მსგავსი ადამიანი ხარ. თუკი სიმართლის მთქმელთაგანი ხარ, სასწაული გვაჩვენე!“ *(სურა შუარა, აიათი 154)*

აქლემის სასწაული

სალიჰი თავისი ტომის უმეცრებამ და დაუდევრობამ ძალიან დაამწუხრა. ერთ ხანს მათ გაეცალა. როცა უკან, მათთან დაბრუნდა, უდიდესმა ღმერთმა მათ, სალიჰის შუამავლობის დიდებულება აჩვენა. ტომი ამ დიდებულებამ შიშში ჩააგდო.

სალიჰი ტომის ბელად ჯენდასთან მივიდა. ჯენდამ მას უთხრა:

„თუ სიმართლეს ამბობ, გამოგცდით!“

ჯენდამ ყველასთვის ცნობილი ქათიბეს კლდე იგულისხმა და ასე უთხრა:



„შენთან ერთად იქ წავალთ, შენმა ღმერთმა იმ კლდიდან მშობიარე წითელ-ბეწვიანი დედალი აქლემი გამოიყვანოს! ის რომ შვილს დაბადებს, მისი ფერიც დედის ფერის უნდა იყოს!“

ტომმაც დამცინავად უთხრა:

„მისი რძე ზაფხულში - გრილი, ზამთარში ცხელი იყოს. ყველა ავადმყოფი, ვინც ამ რძეს დალევს, განიკურნოს. ყოველი ღარიბი კი, ამ რძის დალევის შემდეგ, სიღარიბისგან განთავისუფლდეს!“

იმ პერიოდისთვის ყველაზე ფასეული წითელი აქლემი იყო. სალიჰისგან წითელ-ბეწვიანი აქლემი ამის გამო მოითხოვეს.

სოდომის ტომი შეიკრიბა. სალიჰმა ილოცა და ღმერთს შეევედრა.

კლდემ ზრდა დაიწყო. შიგნიდან მწვავე ტკივილის გამომხატველი ხმები გამოდიოდა, კლდე გაიხსნა და იქიდან გამოვიდა წითელი აქლემი, რომელიც შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამდა; „ლა ილაჰე ილლალლაჰ, სალიჰუნ ნებიიულლაჰ!“ (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, სალიჰი მისი შუამავალია).

ამ სასწაულის შემხედვარე ჯენდა სალიჰს შუბლზე ემთხვია და თავის ტომს მიმართა:

„ჩემო მოდგმავ! ამდენი სიბრმავე კმარა! მე ვირწმუნე ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს მოზიარე, ბადალი და მსგავსი, ხოლო სალიჰი მისი შუამავალია!“ ჯენდასთან ერთად მონოთეისტური რწმენა კიდევ ტომის ასმა წევრმა აღიარა.

კერპების სახლის ბელადმა კი თქვა:

„ჯადოქრობისკენ რა სწრაფად იხრებით! მე უფრო დიდ რამეს გაჩვენებთ!“

ამგვარად, ახლადმოქცეულ გულებს ეჭვი ჩაუთესა. ჯენდას ძმაც მათ შორის იყო. კერპების სახლის ბელადმა ჯენდას ხმალი აიღო, მას გადასცა და უთხრა:

„ამის შემდეგ, ჩვენი ბელადი შენ იქნები!“

იქედან წამოსული ჯენდა სახლში მივიდა და ყველა კერპი დაამსხვრია. ის ქონება და ძვირფასეულობა, რაც მას ეკუთვნოდა, ერთმორწმუნეებს დაუნაწილა. თავისთვის კი გახუნებული ტანსაცმელი აირჩია. სალიჰთან ერთად ერთღმერთიანობის ქადაგება დაიწყო. იგი მისი მარჯვენა ხელი გახდა.

ურწმუნო კერპთაყვანისმცემლები ჯენდას ეუბნებოდნენ:

„შე, საცოდავო! შენც სალიჰის ჯადოს დაუჯერე!“

ჯენდა კი მათ ნათქვამს ყურად არ იღებდა და სალიჰს გვერდიდან არ შორდებოდა.

სალიჰმა აქლემის გამო მოვლენილი ზეშთაგონება კრიტერიუმად დააწესა.

„ჩემო მოდგმავ! აი, თქვენ სასწაულად მოვლენილი ალლაჰის მდედრი აქლემი! გაუშვით, ალლაჰის ძღვენისგან, ჭამოს, (სვას)! მას ცუდი მიზნით არ შეეხოთ! შემდეგ სატანჯველი შეგიპყრობთ.“ *(სურა ჰუდი, აიათი 64)*

ეს აქლემი მსხვილი აგებულების, ჭკვიანი და ძალიან ლამაზი იყო. თავის შვილთან ერთად ბალახობდა და ალლაჰს ადიდებდა. სხვა ცხოველებს მისი დიდებულებისა ეშინოდათ და გარბოდნენ. მნახველებს აო-

ცებდა, სხვა ცხოველების კვებისგან, მისი კვება განსხვავებული იყო. ერთი დღის განმავლობაში ქალაქში არსებულ ყველა წყალს სვამდა. ასე რომ, სხვა ცხოველები დასალევ წყალს ვეღარ შოულობდნენ. სალიჰმა წყალი მაინც გაანაწილა. წყალს ერთ დღეს— აქლემი, ხოლო მეორე დღეს სხვა ცხოველები სვამდნენ.

აქლემი ამბობდა: „ვისაც უნდა, მოვიდეს და რძე წაიღოს!“

სოდომელებიც მოდიოდნენ, ჭურჭლებს ავსებდნენ და მიდიოდნენ.

აქლემი, როგორც კი წყალს დალევდა, ღმერთის თაყვანისცემას აგრძელებდა. ავადმყოფები, როგორც კი რძეს დალევდნენ, იკურნებოდნენ.

უმადურობა

ამ დიდი სასწაულით ურწმუნოები შეწუხდნენ. ისინი აქლემის მოკვლას გეგმავდნენ, მაგრამ ეშინოდათ, მკვლელობის შემდეგ, სატანჯველი არ მოვლინებოდათ.

მიუხედავად ამ შიშისა, სოდომის ტომის ორი ქალი, იმის გამო, რომ ის მათი აქლემების რემას ზიანს აყენებდა, ურწმუნოებს მუდმივად ცხოველის მოკვლას ურჩევდა, ერთ-ერთი ქალი უნეიეზზე ბინთ ჯანემი იყო. ის ხანში შესული ქალი გახლდათ და ლამაზი ქალიშვილები ჰყავდა. ერთ-ერთი, სახელად მუჰეიია, თან მდიდარი და თანაც მიმზიდველი იყო.

ეს ორი ქალი ურწმუნოებს ამ აქლემის მოკვლას სთხოვდა, რადგან მათი ცხოველები მაშინ, როცა სალიჰის აქლემი წყალს სვამდა, უწყლოდ რჩებოდნენ.

მუჰეიემ თავის ბიძაშვილს მისთას დაუძახა და უთხრა:

„თუ ამ აქლემს მოკლავ, ცოლად გამოგყვები და ყველაფერი რაც ჩემია, შენი გახდება!“

მისთა ამ წინადადებას დაეთანხმა. მას დამხმარედ ერთი ადამიანი სჭირდებოდა. იპოვა ერთი კერპთაყვანისმცემელი სახელად ქითარი. მას უნეიზეს ქალიშვილები შესთავაზეს. მან მათ შორის, ერთი ამოირჩია და ამ სამარცხვინო საქმეს ისიც დაეთანხმა.

ამ ორმა ადამიანმა კიდევ რამდენიმე უბედური იპოვა და სულ ცხრანი შეგროვდნენ. მათ აქლემის მოსაკლავად ურწმუნო კერპთაყვანისმცემლებს შორის პროპაგანდა გასწიეს და ისინი დაარწმუნეს.

ცხრა კაცი აქლემს ჩაუსაფრდა. მისთამ ისარი ესროლა და აქლემი დაჭრა. ქითარი და მისი თანმხლებლებიც მაშინვე აქლემს მისცვივდნენ.

აქლემის კოზაკს შეეშინდა და მთაში გაიქცა. ერთი გადმოცემის მიხედვით, ისიც დაკლეს და ხორცი შეჭამეს. ეს რომ სალიჰმა გაიგო, ძალიან დამწუხრდა. აქლემთან მივიდა და დიდხანს ტიროდა. ღმერთს შეევედრა მისი ტომისთვის ჭეშმარიტების გზა ეჩვენებინა. შემდეგ ტომთან მივიდა.



„სალიჰმა უთხრა: „ჩემო მოდგმავ! რატომ მიისწრაფვით ბოროტებისკენ მაშინ, როცა სიკეთე არსებობს? არ შეიძლება, რომ ალლაჰისგან მიტევება ითხოვოთ? შეიძლება თქვენ შეწყალებულ იქნათ!“ *(სურა ნემლ, აიათი 46)*

მათ კი

„უთხრეს: სალიჰ! შენ თუ მართლაც შუამავალთაგანი ხარ, რომ გვემუქრებოდი, ის სატანჯველი მოგვივლინე, რითაც გვემუქრებოდი!.“ (სურა აარაფ, აიათი 77)

საშინელი ხმა და მიწისძვრა

„სალიჰმა უთხრა: „თქვენს სამშობლოში კიდევ სამი დღე იცხოვრეთ, (შემდეგ

განადგურდებით)! ეს სიტყვა გაუბათილებელი მუქარა იყო.“[1]

ეს სამი დღე ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი იყო. პირველ დღეს სახეები გაუყვითლდებოდათ, მეორე დღეს - გაუწითლდებოდათ, მესამე დღეს გაუშავდებოდათ, მეოთხე დღეს კი განადგურდებოდნენ.

პირველ დილას უჩვეულო ამბები მოხდა: აქლემის დაჭერის ადგილიდან სისხლმა ამოხეთქა, ფოთლები გაწითლდა. ჭის წყლები სისხლით შეიღება, უბედურები სახეზე გაყვითლდნენ. ცხრა ადამიანმა თქვა:

„სალიჰი ჯადოს გვიკეთებს, ის და მისი ოჯახი დავხოცოთ!“

როგორც კი დაღამდა, ეს ცხრა კაცი,



სალიჰის მოსაკლავად მეჩეთში მივიდა. ჯებრაილმა ისინი ალლაჰის ბრძანებით ჩაქოლა.

ამ შემთხვევის შემდეგ სალიჰმა და ერთმორწმუნეებმა (დაახლოებით ოთხი ათასმა ადამიანმა) ქალაქი დატოვეს.

მეორე დღეს ურწმუნოებს სახეები დაუწითლდათ. მესამე დღეს კი - გაუშავდათ. სატანჯველი საიდან მოდისო - იქითაქეთ იყურებოდნენ.

უზენაესმა ალლაჰმა ჯებრაილს უბრძანა. მან მყარი ქვებისგან აგებული სახლები თავდაყირა დააყენა.

სოდომის ტომის განადგურების მიზეზები

1. მათ, შუამავლის ნაქადაგევი მონოთეისტური რწმენა უარყვეს, „ურწმუნოებაში“ გაჯიუტდნენ;

2. შუამავალს არ მოუსმინეს და ის აბუჩად აიგდეს. გაამაყებულები შმაგ ვნებას დაემორჩილნენ;

3. თავიანთი შეხედულებები რწმენის შეხედულებებზე უმაღლესად ჩათვალეს, შუამავლის ქადაგება არად ჩააგდეს;

4. ინტრიგანი ქალების სიტყვებს დაემორჩილნენ. ქალებით გატაცებამ ისინი შეცდომაში შეიყვანა. ამგვარად, პანიკის დამთეს ცხრა პიროვნებასთან ერთად იმოქმედეს და ცოდვაში მოზიარენი გახდნენ;

5. ღვთიურ გაფრთხილებასა და თავს დამტყდარ უბედურებაში წმინდა სალიჰსა და მის თანამოაზრეებს დასდეს ბრალი და სიკეთის მკეთებელნი შეიძულეს. სალიჰს ბოროტება დასწამეს და უთხრეს: „სანამ შენ შუამავალი გახდებოდი, ასეთი უბედურებები არ გვემართებოდა;“

6. მათთვის ნაწყალობევი ამქვეყნიური სიკეთეების დაკარგვის შიშმა შეიპყრო. ამქვეყნიური ქონების სიყვარულმა და ჟინმა ისინი აცდუნა;

7. ალლაჰის ამანათს უმუხთლეს. მიუხედავად იმისა, რომ სალიჰს ღვთიურ სასწაულად აქლემი მოსთხოვეს, მის სანაცვლოდ კი - მონოთეიზმის აღიარების პირობა დადეს, ღვთის ამანათი აქლემი მოკლეს;

8. აქლემი არავის საკუთრება არ იყო. ის საქველმოქმედო საქმეს ემსახურებოდა. მისი რძე ისევე ნაწილდებოდა, როგორც სამლოცველო სასმელი წყალი. მისი პატრონი უზენაესი ალლაჰი იყო, მაგრამ მათ აქლემი მოკლეს და ამგვარად საქველმოქმედო ქონება დააზიანეს;

9. ცხრა ადამიანის ინტრიგნობამ და უსამართლობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ისინი სხვების ქონებას ხელყოფდნენ, ადამიანთა უფლებებს არღვევდნენ.

1) სურა ჰუდი, აიათი 65

ყურეიშელების მიერ ნეჯაშისგან მუჰაჯირების უკან გამოთხოვნა

თემურ გორგაძე

როდესაც ყურეიშელმა ურწმუნოებმა, რომლებსაც ეთიოპიაში პირველი ჰიჯრეთისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, გაიგეს, რომ იქ მუჰაჯირებს კარგად ექცეოდნენ, შეშფოთდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მაშინ, როცა გარშემო ისლამი ვრცელდებოდა, ამ საქმეს თავიდან ვერ აიცილებდნენ. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეთიოპიელი მმართველისგან მუსლიმანები უკან გამოეთხოვათ. აბდულლაჰ იბნ რაბიამ და ამრ იბნ ასმა ნეჯაშსა და მის სამეფო კარს მრავალნაირი საჩუქარი გაუგზავნეს.

აბუ თალიბმა როგორც კი გაიგო, რომ ყურაიშელებმა ნეჯაშს ელჩი და საჩუქრები გაუგზავნეს, წარმართების მზაკვრობისგან მუჰაჯირების დასაცავად ნეჯაშს მაშინვე საქებარი ლექსი დაუწერა და გაუგზავნა.

სანამ ნეჯაშს ნახავდნენ ამრმა და მისმა ამხანაგებმა, ეთიოპელთა მეთაურებს მრავალნაირი საჩუქრები დაურიგეს და თავიანთ მხარეს გადმოსვლა შესთავაზეს. შემდეგ პოლითეისტების რაზმმა საჩუქრები ნეჯაშს მიუტანა და ასე უთხრა:

„მმართველო! ჩვენგან ახალგაზრდების ერთი ნაწილი, რომლებსაც არ ესმით რას სჩადიან, შენს მხარეში მოვიდნენ და თავი შეგაფარეს. უარყვეს თავიანთი წინაპრების რჯული, მაგრამ შენი რჯულიც არ მიუღიათ. მათ ახალი რწმენა შექმნეს. იმისათვის, რომ ისინი უკან დავაბრუნოთ, ნათესავებმა თქვენთან გამოგვაგზავნეს, რადგანაც მათმა ტომმა მათი დანაშაული სხვაზე უკეთ იცის“.

მათ ეშინოდათ, რომ ნეჯაში ჯაფერსა და მის ამხანაგებს მოუსმენდა და მათი ზეგავლენის ქვეშ მოექცეოდა. მუსლიმანები კი შიშობდნენ, რომ მათ გაუსამართლებლად ამრსა და მის ამხანაგებს გადასცემდმენ.

ეთიოპელთა მეთაურებიც წარმართების მხარეზე დადგნენ. მათ თავიანთ მეფეს უთხრეს:

„ბატონო! ეს ადამიანები მართალს ამბობენ. ტომი მათ უკეთ იცნობს. ისინი ამ ხალხს გადაეცი და თავიანთ ქვეყანაში წაიყვანონ.“

ნეჯაში გაბრაზდა და შესძახა:

„არავითარ შემთხვევაში! სანამ მათ არ მოვუსმენ, არავის გადავცემ, ჩემს ქვეყანაში თავშეფარებულ ხალხს სიავეს არ გავუკეთებ!“ და მუჰაჯირები თავისთან დაიბარა.

ნეჯაშმა თანამორწმუნეები ანუ ქრისტიანებიც მოიხმო, რომლებმაც წიგნები გადაშალეს და მის გარშემო დასხდნენ.

მუჰაჯირების მოსვლის შემდეგ ორივე მხარე პირისპირ განალაგა. ისტორიული მომენტი იდგა. მუსლიმანებს მომხსენებლად წმინდა ჯაფერი ჰყავდათ.

ნეჯაში მუჰაჯირების მეთაურ - ჯაფერ თაიარას მიუბრუნდა.

„ყურაიშებმა ელჩი გამოგზავნეს, მათ თქვენი მექაში დაბრუნება სურთ.“

ჯაფერმა ხელმწიფეს უთხრა:

„ხელმწიფევ! ჰკითხეთ, ჩვენ რა, მათი მონები ვართ, ჩვენი უკან წაყვანა რომ უნდათ?“

ნეჯაშმა ამრ იბნ ასს შეხედა. მანაც უპასუხა:

„არა, ყველანი თავისუფლები არიან!“

საუბარი ასე გაგრძელდა:

„ჰკითხეთ, ჩვენ მათი ვალი გვაქვს, რომ ჩვენი თავი უნდათ?

„ არა, არც ერთს არავის ვალი არ აქვს!“

„ჰკითხეთ მათ, ჩვენ რა, მკვლელები ვართ, ჩვენზე შურისძიება უნდათ და ამიტომ გვითხოვენ?“

„არა, ამგვარი სურვილი არავის გვაქვს.“

„მაშინ ჩვენ უკან რატომ გვითხოვენ, რას ამბობენ?“

მაშინ ამრმა ასე თქვა:

„ამათ ჩვენი წინაპრების რჯული უარყვეს.ჩვენსღმერთებსშეურაცხყოფენ. ჩვენს ახალგაზრდობას რწმენას უფუჭებენ. ჩვენს ხალხს შორის უთანხმოება ჩამოაგდეს. მექის მთელი მოსახლეობა ორად გაიყო.“

ნეჯაშმა ჰკითხა:

„იმის მიხედვით, რომ არც თქვენი ტომის რწმენა გწამთ და არც ჩვენი, თქვენ მიერ აღიარებული რწმენა როგორია?“

ჯაფერ ტაიარმა საუბარი დაიწყო:

„ხელმწიფევ! ჩვენ უვიცი ტომი ვიყავით. ქვისგან, ხისგან გაკეთებულ კერპებს ღმერთებს ვუწოდებდით და თაყვანს ვცემდით, მკვდარი ცხოველების ხორცს ვჭამდით, გოგონებს მიწაში ცოცხლად ვმარხავდით, აზარტულ თამაშებს ვთამაშობდით, მევახშეობას ვეწეოდით, მრუშობა, ერთი ქალის რამდენიმე მამაკაცთან კავშირი და თავაშვებულობა მოგვწონდა. ნათესავების წინაშე ჩვენი მოვალეობა არ ვიცოდით. ძლიერები სუსტებს ჩაგრავდნენ, მდიდრები ღარიბების ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ადამიანის უფლება რა იყო, არ ვიცოდით.

უდიდესმა ალლაჰმა ჩვენს მიმართ წყალობა გამოიჩინა და გამოსასწორებლად შუამავალი მოგვივლინა, ის შუამავალი არისტოკრატიული გვარის და სუფთა ტომის წარმომადგენელია. მას ზედმეტსახელად „სანდო“ (ემინ) შევარქვით. მან ალლაჰის ერთადერთობისკენ მოგვიწოდა. მასზე ღვთისმსახურება გვასწავლა, ჩვენი წინაპრების კერპებისგან გვიხსნა, ყოველგვარ ამორალობას დაგვაშორა. სისხლისღვრა, აზარტული თამაშები, ალკოჰოლური სასმელები, მევახშეობა, ტყუილი, ობლების ქონებაზე შეხება აგვიკრძალა, სიკეთის კეთება გვიბრძანა. სიმართლეზე მიყოლა, სიტყვის შესრულება, მეზობლებსა და ნათესავებზე კარგად მოპყრობა, ქალების პატივისცემა, ქალიშვილების სიცოცხლის ხსნა გვიბრძანა. ველურობისაგან გვიხსნა, ცივილიზაციასთან დაგვაახლოვა. არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ ადამიანები ვყოფილიყავით. ჩვენც მისი ვირწმუნეთ, მის გზას მივყვებით. ამის გამო ყურაიშები გადაგვემტერნენ. ათასგვარი ტანჯვა გადაგვხდა, მაგრამ ტანჯვა გაუსაძლისი რომ გახდა და რწმენის უარყოფაც არ გვინდოდა, შუამავლისგან ნებართვა ავიღეთ, ხელმწიფეებს შორის თქვენ აგირჩიეთ და თქვენ მხარეში მოვედით. იმედი გვქონდა, რომ თქვენ სამშობლოში ჩაგვრა არ გვემუქრებოდა და თქვენ შეგეფარეთ!“

ჯაფერის სიტყვებს ნეჯაში ჩაფიქრებული უსმენდა.

„ალლაჰის მხრიდან მოვლენილი შუამავლის ზეშთაგონებათაგან ზეპირად თუ წამიკითხავ რაიმეს?“ — ჰკითხა მან.

ჯაფარმა სურა „მეირიემის“ პირველი, იაჰიასა და ისას დაბადებასთან დაკავშირებული აიათები წაუკითხა. ნეჯაში და სხვა დამსწრეებიც დაღონდნენ და ატირდნენ.

„ალლაჰს ვფიცავ, რომ ეს სიტყვები წმინდა მუსასა და წმინდა ისაზე ზეშთაგონებით ჩამოსულ წყაროთაგანია“. - თქვა ნეჯაშმა და ყურაიშების ელჩებს მიუბრუნდა:

„ამ მუჰაჯირებს თქვენ არ გადმოგცემთ!“ — უთხრა და მათი შეთავაზება უარყო.

როცა ელჩები ნეჯაშისგან მიდიოდნენ, ამრმა თქვა:

„ალლაჰს ვფიცავ, ნეჯაშს ვეტყვი, რომ ესენი მარიამის შვილ ისას მონა-მსახურად მიიჩნევენ და მათ ძირფესვიანად მოვათხრევინებ!“

მეორე დღეს ნეჯაშთან მივიდა და უთხრა:

„ხელმწიფევ! ისინი მარიამის შვილ ისას შესახებ ძალიან მძიმე სიტყვებს ამბობენ! თუ გსურს თქვენთან მოიხმეთ და ჰკითხეთ, რას ამბობენ მის შესახებ“.

ნეჯაშმა მუსლიმები კვლავ თავისთან მოიხმო და ჰკითხა:

„მარიამის შვილ ისაზე რას ფიქრობთ, მითხარით, გისმენთ!“

ჯაფერმა უპასუხა:

„ჩვენ ის ვიცით, რაც ჩვენმა შუამავალმა გვასწავლა. ის ასე ამბობს:

„ისა ალლაჰის მონა-მსახური და შუამავალია, რომელმაც თავი გამჩენს მიუძღვნა“. ნეჯაში მაშინვე ადგილიდან წამოვარდა.

„ალლაჰს ვფიცავ, რომ მარიამის შვილი შენი ნათქვამის მეტი არაფერი არის! შენს ნათქვამსა და წმინდა ისას ჭეშმარიტებას შორის მცირეოდენი სხვაობაც კი არ არსებობს!“

როგორც კი ნეჯაშმა ეს თქვა, მის გარშემო მყოფი მეთაურები აბუზღუნდნენ. ნეჯაშმა მათ უთხრა:

„ღმერთმანი, თქვენ რაც უნდა იბუზღუნოთ, ეს ჭეშმარიტებაა.“

მუჰაჯირები კი დაიმედა:

„დარჩით! ჩემს ქვეყანაში სრულებით უსაფრთხოდ იქნებით! ის, ვინც თქვენ რაიმეს დაგიშავებს, დაისჯება. მთისოდენა ოქროც რომ მომცენ, მე თქვენ არ შეგაწუხებთ. მათ მიერ მოტანილი საჩუქრები კი ამ ორ კაცს უკან დაუბრუნოთ, მე ისინი არ მჭირდება! თქვენი შუამავლის გვერდით რომ ვყოფილიყავი, მას ფეხებზე წყალს დავუსხამდი, მოვემსახურებოდი!“

სხვა თქმულების მიხედვით, ნეჯაშს ასეც უთქვამს:

„მე მოწმე ვიქნები, რომ მუჰამმედი ალლაჰის შუამავალია. ეს ის პიროვნებაა, რომლის შესახებაც წმინდა ისამ გვახარა. მე რომ ამ სასულთნოს სათავეში არ ვიდგე და ადამიანთა საქმეები არ მქონდეს ნატვირთი, მასთან წავიდოდი, რომ მისი ფეხსაცმელები მეზიდა.“

წმინდა ჯაფერის მიერ ნეჯაშისთვის გაცემული პასუხი ძალიან კარგი მაგალითია იმისა, თუ სად, რა, როგორ უნდა ილაპარაკონ ისლამის მქადაგებლებმა. ამ მეთოდს ყოველთვის უნდა მიექცეს ყურადღება.

ვისაც ყურანის კითხვის სურვილი გაუჩნდება, ყველა ადგილი კი არ უნდა წაიკითხოს, არამედ ის აიათები, რომლებიც ყველაზე საჭირო და ყველაზე შესაფერისია პასუხის გასაცემად. უნდა წაიკითხოს სურა „მარიამის“ წმინდა ისასთან დაკავშირებული ნაწილი. ამავე დროს ყურადსაღებია პოლითეისტების მიერ მუჰაჯირების უკან დაბრუნების მოთხოვნაზე გაცემული ჭკვიანური და ლოგიკური პასუხი. ეს პასუხი რწმენის, სამართლიანობისა და მაღალი მორალის ბრძანების აღნიშვნაა.

ბრძნული გადაწყვეტილებაა წმინდა შუამავლის მიერ მუჰაჯირების მეთაურად ჯაფერის არჩევა. მან ამ ქმედებით მიანიშნა, რომ ისინი, რომლებიც ხელმძღვანელებად უნდა იქნენ არჩეულნი, თავიანთი ადგილსამყოფელისა და შესაძლებლობის მიხედვით შესასრულებელი მოვალეობისთვის, აუცილებლად, უნდა მოემზადონ

ეთიოპიაში მეორედ გადასული მუჰაჯირების ერთი ნაწილი, წმინდა შუამავლის მედინაში გადასახლების შემდეგ დაბრუნდნა უკან, მეორე ნაწილი კი — ჰუდაიბიე მუსალათას დროს.

წმინდა ჯაფერის წარმომადგენელთა ბოლო ჯგუფი კი ჰაიბელსა და მედინაში მივიდა და წმინდა შუამავალი გაახარა.

თეიმუმი

ლექსიკური მნიშვნელობით თეიმუმი „რაიმეს განზრახვას“ ნიშნავს. როგორც რელიგიური ტერმინი - ხელების მიწისეულ სუფთა მასაში გარევის შემდეგ, დაბერტყვა და სახე-მკლავებზე (იდაყვების ჩათვლით) მოსმაა, მაშინ როდესაც წყალი არ არსებობს ან სახმარად უვარგისია.

თეიმუმი ჰიჯრის მეექვსე წელს, ბენი მუსთალიქის ბრძოლის დროს მოვლენილ სურა „მაიდეს“ მეექვსე აიათით, ფარძად დაწესდა. ჩვენმა შუამავალმა და ათასკაციანმა ლაშქარმა უწყლო ადგილზე გაითია ღამე. დილის ნამაზისთვის აბდესის ასაღებად წყალი ვერ იპოვეს, რის შემდეგაც ქვემოთ მოცემული აიათი გარდმოევლინა:

„თუ მგზავრად ხართ და წყალი ვერ იპოვეთ, სუფთა მიწით თეიმუმი გააკეთეთ.“

(სურა ნისა, აიათი 43; სურა „მაიდე“ აიათი 6)

ამგვარად თეიმუმი უზენაესი ალლაჰის ბრძანებად იქცა. შუამავლის თანმიმდევრებმა გაიხარეს, თეიმუმი გააკეთეს და დილის ნამაზი ილოცეს. *(ომარ ნასუჰ ბილმენი, ისლამის დიდი ილმიჰალი, გვ. 100)*

თეიმუმის ფარძები (აუცილებლობანი)

1. თეიმუმის მიზნის დასახვა (ნიეთი);

2. გაშლილი თითებით მშრალ და სუფთა მიწაზე ორჯერ შეხება. პირველ შეხებისას პირისახეზე, ხოლო მეორე შეხებისას მკლავებზე ხელის გადასმა.

თეიმუმის სუნნეთები

1. თეიმუმის ბესმელეთი დაწყება;

2. თანმიმდევრობის დაცვა;

4. მიწაში გარევისას ხელების პირველად წინ გაწევა, შემდეგ უკან გამოწევა;

5. გაშლილი თითებით მოქმედება;

6. მიწიდან ხელებს რომ აიღებ თუ მიწიანია, ხელების ერთმანეთზე მირტყმით ჩამობერტყვა.

როგორ სრულდება თეიმუმი?

1. თეიმუმი „ბესმელეთი“ უნდა დავიწყოთ და მიზნად ნამაზისთვის გასუფთავება უნდა დავისახოთ;

2. თითებგაშლილ მდგომარეობით ორი ხელი მიწას უნდა შევახოთ და შემდეგ ჯერ წინ და უკან გავწი-გამოვწიოთ.

3. ხელებიდან ზედმეტი მტვერი უნდა ჩამოვიბერტყოთ, ის მთელ სახეზე უნდა მოვისვათ.

4. ხელები კვლავ სუფთა მიწას უნდა შევახოთ, დავიბერტყოთ, მარცხენა ხელის ცერა თითი გვერდზე გავწიოთ და ხელისგული მარჯვენა ხელის თითის წვერებიდან დაწყებული მკლავის გარე მხარეს იდაყვებამდე უნდა გადავუსვათ, შემდეგ კვლავ მარჯვენა ხელის გულს უნდა მივუბრუნ-

დეთ და მარცხენა ხელის ცერა თითი და ნეკა თითით წრე გავაკეთოთ, ხელისგული იდაყვიდან მაჯამდე ხელის შიდა მხარეს უნდა გადავუსვათ.

5. შემდეგ მარჯვენა ხელით ისე უნდა ვიმოქმედოთ მარცხენაზე, როგორც ის გავაკეთეთ მარცხენათი მარჯვენაზე.

6. როგორც განვმარტეთ, თეიმუმის დროს თანამიმდევრობა უნდა დავიცვათ და პირველად პირისახეზე, შემდეგ მკლავებზე უნდა გადავისვათ ხელი.

თეიმუმის გაკეთება ღუსლისა და აბდესის ნაცვლადაც შეიძლება.

მდგომარეობები, რომლებიც მოითხოვს თეიმუმს:

1. აბდესის ან ღუსლისთვის საკმარისი წყლის არ არსებობა;

2. მიუხედავად წყლის არსებობისა, მისი გამოყენების შეუძლებლობა;

3. სხეულის ნახევარ ან უფრო მეტ ნაწილზე ისეთი სნეულების არსებობა, რომელზეც წყლის გამოყენება არ შეიძლება.

თეიმუმი გამჩენის მიერ ჩვენთვის ნაწყალობევი დიდი შეღავათია. ადამიანი მისი შექმნის მთავარ საწყისს — მიწას უბრუნდება და მისდამი მოკრძალებითა და გამჩენისადმი პატივისცემის გრძნობით უნდა იმსჭვალებოდეს. მიწაზე შეხებული ხელების სახეზე და მკლავებზე მოსმა ადამიანს თავმდაბლობისკენ მოუწოდებს.

თეიმუმით სხეულს ზედმეტი ელექტრონები სცილდება და ისვენებს.

თეიმუმს აუქმებს:

1. ყველაფერი რაც აბდესს შლის;

2. აბდესისა და ღუსლისთვის წყლის შოვნა და მისი გამოყენების შესაძლებლობა;

3. საპატიო მიზეზის ამოწურვა.

wignidan `Cemi Tvalis Cini namazi~.

რას გვეტყვით მკითხაობის შესახებ?

ნოდარ დაჯვითაძე

პასუხი მკითხაობა, როგორც სხვა ზეციურ წიგნებში, ასევე ყურანის მიხედვითაც დაუშვებელი საქციელია. ისლამში მკითხაობა პოლითეიზმის ტოლფასია. რადგან მკითხავები ფარული და უხილავი ინფორმაციების ცოდნასა და მომავლის განჭვრეტას იჩემებენ, რაც ყურანის ბრძანებით შეუძლებელია. ამის შესახებ ყურანში ვკითხულობთ: ***„თქვი, რომ ცათა და დედამიწაზე ალლაჰის გარდა უხილავის სხვა მცოდნე არ არსებობს. “*** *(სურა ნემლი, აიათი 65)* ***„უხილავ გასაღები მასთანაა. ის მხოლოდ მან იცის.“*** *(სურა ენამ, 59-ე აიეთი)* ***„უხილავთა მცოდნე (ალლაჰი), დაფარულს არავის გააგებინებს. გარდა იმისა რისი გაგებინებაც შუამავლებზე სურს“.*** *(სურა ჯინი, აიათები 26-27)* ზემოთ მოყვანილი აიათებიდან გამომდინარე ჩვენთვის უხილავი მომავლის შესახებ ინფორმაცია ალლაჰის გარდა არავის გააჩნია და ვინც მას უარყოფს ის ყურანს უარყოფს. ***„ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უეჭველად ალკოჰოლი, ყომარი, კერპები და ისრებით მკითხაობა, სატანისეული საძაგელი საქმეებია, დაე მოერიდეთ მათ, ეგების გადარჩებით.“*** *(სურა მაიდე, 90- აიათი)*

ალლაჰის შუამავალი მკითხაობას სხვადასხვა ჰადისში ასე მოიხსენებს: *„ვინც მკითხავთან, ჯადოქართან და გრძნეულებთან დადის და მათი ნათქვამის ჯერა, მას წმინდა ყურანის არ სწამს.“* **(ტაბერანი)** *„ვისაც მკითხავის ჯერა, ის სამოთხეში ვერ შევა.” (იბნი ჰიბბან) „ვინც მკითხავს არჩევინებს, თუნდ მისი ნათქვამი არ დაიჯეროს ორმოც დღეს მისი ნალოცი მიუღებელი იქნება.“* (მუსლიმი).

როგორც ზემოთ მოყვანილი აიათები გვამცნობს უხილავის ცოდნის უნარი მხოლოდ ალლაჰს გააჩნია და არავითარი მკითხაობის მეშვეობით ეს შესაძლებელი არ არის. ამიტომაც ვისაც მკითხავის სიტყვები სჯერა, ის აღიარებს მკითხავში უხილავის ცოდნის უნარს, რაც აიათების მიხედვით მხოლოდ ალლაჰისთვის დამახასიათებელი თვისებაა. სწორედ ამიტომ ითვლება მკითხაობა პოლითეიზმის ერთ-ერთ სახეობად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი მკითხაობისა და პოლითეიზმის სიავისაგან!

გენმოდიფიცირებული საკვები

რონინ ჯოჩალიძე

დღეს საკმაოდ აქტუალური თემაა სურსათის ხარისხი, გენმოდიფიცირებული პროდუქტი და ჯანმრთელობისთვის მავნე საკვები დანამატები. რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს რამდენად შემოწმებულია ის პროდუქტი, რომელსაც მომხმარებელი ყიდულობს და თუ ეს პროდუქტი იმპორტირებულია, ხომ არ არის გენეტიკურად მოდიფიცირებული.

გენმოდიფიცირებული საკვები მიიღება ხელოვნურად შექმნილი თესლებისგან, რომლებიც შეიცავენ თანამედროვე ბიოტექნოლოგიების გამოყენებით მიღებულ გენომს. ეს უკანასკნელი ზრდის მოსავლის რაოდენობასა და ზომას. მიღებული პროდუქტი თითქმის არ შეიცავს ვიტამინებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გენების მოდიფიცირება მათ ანიჭებს მდგრადობას სხვადასხვა დაავადებების, ასევე მღრღნელების მიმართ, ზრდის შენახვის ვადებს. მაგრამ აუცილებელია, გენების ხელოვნური შეცვლის გაუთვალისწინებელი ეფექტების შეფასება, რაც საკმაოდ რთულია. სწორედ ამიტომ ევროპის ბევრ ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პომიდვრისა და კარტოფილის ნათესების ფართობები დღეისათვის უკიდურესად შემცირებულია. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის მოწონებული გენმოდიფიცირებული ხორბლის მოყვანა და მისი მოხმარება.

პირველი გენმოდიფიცირებული პროდუქტი, რომელიც მსოფლიოში გაჩნდა, იყო 1994 წელს ამერიკულ ბაზარზე გამოტანილი პომიდორი „ფლავრ-სავრი“. საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქტი პირველად 1996 წელს შემოვიდა. ეს იყო ამერიკული ორგანიზაცია ,,CI"-ის მიერ შემოტანილი კარტოფილი.

დღეს მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება და, შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე მატულობს გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების რაოდენობა, რომელთა შორისაა კვების პროდუქტები, რომლებიც ფართოდ მოიხმარება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში: სიმინდი, სოიო, კარტოფილი, ბრინჯი და სხვა.

კითხვა, უსაფრთხოა თუ არა ადამიანისათვის გენეტიკური მოდიფიკაციით მიღებული კვების პროდუქტები, ჯერჯერობით პასუხის გარეშე რჩება. არსებობს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გენმოდიფიცირებული პროდუქტის გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

მეცნიერების ნაწილს მიაჩნია, რომ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები სავსებით უსაფრთხოა. მათი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ბიოინჟინერიის მეთოდების გამოყენება მრავალ სასარგებელო თვისებებს სძენს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. გენმოდიფიცირებული კულტურებიდან მიღებული პროდუქტები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, აქვთ მომგებიანი სასაქონლო სახე და საკვებ ღირებულებას უფრო დიდხანს ინ-

არჩურებენ.

მეცნიერების ნაწილი ეწინააღმდეგება ასეთი კვების პროდუქტების გამოყენებას. მათი აზრით, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელება საფრთხეს უქმნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას. ახალი ნიშან-თვისება, რომელსაც გენმოდიფიცირებული მცენარეები შეიძენენ, უფრო კონკურენტუნარიანს ხდის მათ არაგენმოდიფიცირებულ ჯიშებთან შედარებით. ამას, შესაძლოა, სერიოზული ეკოლოგიური დარღვევები მოჰყვეს. გარდა ამისა, გენმოდიფიცირებულ მცენარეთა უჯრედებში შესაძლებელია მოხდეს ადამიანისათვის საშიში ნივთიერებების (ტოქსინების, ალერგინების) სინთეზირება, რაც საზიანოა როგორც ადამიანისთვის, ისე ეკოსისტემისთის.

ქართული საწარმოების უმეტესობა ფართოდ იყენებს დამატკბობელ ასპარტამს გამაგრილებელი სასმელების, სიმინდის ბურბუშელას და სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმის დამზადებისას. ასპარტამი არის გენური ინჟინერიით მიღებული დამატკბობელი, რომელიც შეიცავს სიცოცხლისათვის საშიშ ნივთიერებებს.

საზოგადოებამ იცის, რომ ბაზარზე გამოტანილი პროდუქტის უმრავლესობა გენმოდიფიცირებულია, მაგრამ არ არსებობს მაჩვენებელი, რომლის საშუალებითაც მყიდველი შეძლებს გაარჩიოს გენმოდიფიცირებული პროდუქტი ბუნებრივისგან.

თუ არ ჩატარდა ლაბორატორიული გამოკვლევები, მოსახლეობა ვერ შეძლებს გაარჩიოს გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები ბუნებრივისაგან. მომხმარებელს მხოლოდ შეუძლია, თავი აარიდოს იმპორტირებულ პროდუქტს, რადგან შემოტანილი პროდუქტების უმრავლესობა გენმოდიფიცირებულია. რაც შეეხება საზოგადოების ინფორმირებას, ადამიანმა უნდა იცოდეს, რას ჭამს და არის თუ არა ესა თუ ის პროდუქტი მისი ჯანმრთელობისთის საზიანო.

ცხადია, რომ გენმოფიცირებული საკვები თითქმის არ შეიცავს ვიტამინებს, რის გამოც შეუძლებელია სწორი კვების უზრუნველყოფა. სწორი კვება – ადამიანის ჯანმრთელობის საფუძველია. საკვები, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, ხელს უწყობს ორგანიზმის ქსოვილებისა და უჯრედების როგორც განვითარებას, ასევე მათ სისტემატურ განახლებას. საკვები წარმოადგენს ენერგიის წყაროს, რომელსაც ჩვენი ორგანიზმი ხარჯავს არა მარტო ფიზიკური დატვირთვისას, არამედ დასვენების დროსაც.

საკვებიდან საკმაო რაოდენობით უნდა მივიღოთ ისეთი აუცილებელი ნივთიერებები, როგორებიცაა: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მიკროელემენტები, მინერალური ნივთიერებები ოღონდ, საკმარისად და არა – გადაჭარბებულად, ასევე – სწორი პროპორციით.

გთავაზობთ კვების ძირითად წესებს:

1. კვების სწორი რეჟიმის დაცვა: ოპტიმალურად ითვლება საკვების ოთხჯერადი მიღება, 4-5 საათიანი ინტერვალით, ერთსა და იმავე დროს. ამასთან, საუზმე უნდა შეადგენდეს საღღეღამისო რაციონის 25%-ს, სადილი – 35%-ს, სამხარი – 15%-ს, ხოლო ვახშამი – 25%-ს. ვახშამი რეკომენდებულია დაძინებამდე დაახლოებით 3 საათით ადრე.

2. მიღებული კალორიების რაოდენობა უნდა ანაზღაურებდეს ადამიანის ენერგოდანახარჯებს (რაც, გარკვეულწილად, დამოკიდებულია ადამიანის სქესზე, ასაკსა და ცხოვრების სტილზე, ასევე – შრომის თავისებურებაზე). ჯანმრთელობისთვის მავნებელია რაციონის როგორც დაბალი, ისე გადაჭარბებული კალორიულობა.

3. კვების ძირითადი კომპონენტების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) სწორი ურთიერთშეფარდება: ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შეფარდება, საშუალო დატვირთვისას, შეადგენს: 1:1:4, დიდი ფიზიკური დატვირთვისას – 1:1:5, ხოლო გონებრივი შრომის დროს – 1:0,8:3.

4. უნდა დაკმაყოფილდეს ორგანიზმის მოთხოვნილება ძირითად საკვებ ნივთიერებებზე (პირველ რიგში – შეუცვლელ ამინომჟავებზე, ცხიმოვან მჟავებზე, ვიტამინებზე, მიკროელემენტებზე, მინერალურ ნივთიერებებზე, წყალზე); საჭიროა მათი სწორი შეფარდების უზრუნველყოფა.

ანეკდოტები

სვანს აჩვენებენ ჭას და ეტყვიან:
-შენი წინაპრები აქედან სვამდნენ წყალსო.
სვანი: ვახ მაგ შობელძაღლებს რამხელა კისერი ქონიათო

* * *

ზღარბი სარკეში ჩაიხედება და იტყვის:
-ვარდზე მეტი ეკლები აქვთ ლამაზებს.

* * *

გურული ხიდან ჩამოვარდება და საავადმყოფოში გააქანებენ.
რამოდენიმე ხანში ექიმი გამოდის და ამბობს:
– ეჰ ძამა, დეიგვიანეთ
– რავა ძამა, სანამ ჩამოვარდებოდა მანამდე ხო არ წემევიყვანდით, აპა!

* * *

ბავშვი შედის აფთიაქში:
– ტკივილგამაყუჩებელი გააქვთ?
– კონკრეტულად რა გტკივა?
– ჯერჯერობით არაფერი, მაგრამ მამაჩემი მშობელთა კრებაზე წავიდა.

* * *

დილით სიდედრმა სიძეს შესჩივლა:
-წუხელ მთელი ღამე კოღო მკბენდა დილით კი მთელი ბალიში სისხლით იყო მოსვრილი.
სიძემ ბოროტად ჩაიცინა:
— ალბათ, შენი სისხლი ვერ მოინელა და გული აერია.

ნაზიკია, მაჩუქე შენი სურათი, რა იქნება! – ეხვეწება რეზიკია.
– რად გინდა, ბიჭო, ჩემი სურათი? – გაინაზა ქალი.
– შტეფსელთან მივაკრავ, ბაღნები დენთან რომ არ მივიდნენ.

* * *

ბაბუ, მართალია, რომ ბოროტებას სიკეთით უნდა უპასუხო?
- კი, შვილო, მართალია.
- მაშინ მომეცი ნაყინის ფული, სათვალე გაგიტეხე.

* * *

კიბეზე შემდგარი "მალიარი" კედელს ღებავს. გამოიარა გიჟმა და ასძახა:
- hეი „ჩოთქს" ხელი მაგრად მოკიდე, კიბე უნდა წავიღო!

* * *

მიხო ეძახის თავის ცოლს:
– დედაკაცო! მოდი დედაშენს მიხედე, ყელში ბანანის კურკა გაეჩხირა.
– რას ამბობ, კაცო, ბანანს კურკა სადა აქვს?!
– მე ჩავტენე...

* * *

მასწავლებელი ეჩხუბება მოსწავლეს:
– სიმართლე მითხარი, ვინ დაწერა შენი საშინაო დავალება?
– არ ვიცი, ადრე დავწექი დასაძინებლად.



მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:
– მე შენ თუ მოგცემ ერთ ბაჭიას, მერე კიდე ორ ბაჭიას და კიდე სამ ბაჭიას. სულ რამდენი ბაჭია გეყოლება?
მოსწავლე:
– შვიდი.
მასწავლებელი:
– ყურადღებით მისმინე. მე შენ თუ მოგცემ ერთ ბაჭიას, მერე კიდე ორ ბაჭიას და კიდე სამ ბაჭიას. სულ რამდენი ბაჭია გეყოლება?
მოსწავლე:
– შვიდი.
მასწავლებელი:
– კარგი მაშინ ასე ვქნათ, მე შენ თუ მოგცემ ერთ კნუტს, მერე კიდე ორ კნუტს და კიდე სამ კნუტს. სულ რამდენი კნუტი გეყოლება?
მოსწავლე:
– ექვსი.
მასწავლებელი:
– როგორც იქნა, ესე იგი რამდენი ბაჭია გეყოლება?
მოსწავლე:
– შვიდი.
მასწავლებელმა უკვე დაკარგა მოთმინება:
– რატომ შვიდი ბაჭია?
მოსწავლე:
– იმიტომ, რომ ერთი ბაჭია უკვე მყავს.

* * *

როდის შეიძლება ერთდროულად იცინოდე და ტიროდე? მაშინ როდესაც შენი სიდედრი მიფრინავს ხრამში შენივე მანქანით...

* * *

ცოლი დიდხანს ათვალიერებდა საკუთარ თავს სარკეში. მერე მიუბრუნდა თავის ქმარს და მიაძახა:
– მეტის ღირსი მაინც არა ხარ!

* * *

პარკში, სკამზე ერთი კაცი მაგარი დაღონებული სახით ზის:
მეორე მივიდა და ჰკითხა:
– რა არი, ძმაო, რა დაღონებული ზიხარ, რაშია საქმე?
– დაჯექი და მოგიყვები, ისიც დაჯდა – ძმაო, საქმე იმაშია, რომ სკამია შეღებილი...

ქართული ხალხური ანდაზები

- ❖ ბედნიერების გასაღებს მოთმინება იძლევაო.
- ❖ ბოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს სევდასა!
- ❖ გაქცეულს ერთი გზა აქვს, მდევარს ათასიო.
- ❖ გართმევენ - გაიქეცი; გაძლევენ- შეექეცი.
- ❖ დედ-მამის ამაგის დაუნახავი, კაცის მკვლელს ედრებაო.
- ❖ დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევსო.

- ერთი დღით რომ მიდიოდე, სამი დღის საგზალი წაიღეო.
- ვინც აკაკუნებს, იმას უღებენო.
- ვინც სხვას ორმოს უთხრის, თავისი ზომა მოთხაროსო.
- ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკისო.
- ვისაც სროლა ვასწავლე, პირველი იმან დამიმიზნაო.
- ზარმაცისათვის ნიადაგ უქმეაო.
- ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.
- ზღვას გადარჩენილი ცვარმა დაახრჩოო.
- თაგვი ბეღელში შიმშილით არ მოკვდებაო.
- თუ მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც მოეწყინებაო.
- ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო.
- კანონმა იკანონოსო, ნდობამ კი იბატონოსო!
- გამრჯესათვის უსაქმურობა დიდი სასჯელიაო.

- ავმა რა ქნა - ავის მეტი.
- ბავშვის პირით სიმართლე ღაღადებსო
- ბავშვს ჰკითხეს, რათ სტირიო, გამდის და იმიტომო.
- ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტაო.
- ბედაურები გაწყდაო, ვირს მოედანი დარჩაო.
- გვყავს არ ვაფასებთ, დავკარგავთ და ვსტირით.
- დაბალსა მტერსაც ეკრძალე, ღვარსა ჰგავს დაღმამდინარსა.
- ვინც წყალზე გადო პატარა ხიდიო, მადლი ჰქნა ერთობ დიდიო.
- თვალი სარკეა კაცისა, შიგ ბევრი რამა ხატიაო.
- თუ თვალით ვერ დაინახო, ყურით გაგონილს ნუ დასდევო.
- იაფი ყველაზე ძვირად დაგიჯდებაო.
- იმერელს ჰკითხეს: ყველაზე მძიმე რა არისო და - ცარიელი მუცელიო.
- იმისთანა სიტყვა სთქვი, რომ ხვალ იმ სიტყვამ არ გაგაწბილოსო.
- კაი შეგირდი ოსტატის გულის ვარდია
- კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირი დაამტვრიაო.
- კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს
- კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, თუ ერთ ადგილას სცემს მარად.
- ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა კაი კაცობითაა ნაშოვნი.
- ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში სირბილით
- მაღალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შესწვდა.
- მგელი დანარჩენს ტიროდა, პატრონი წანაღებსაო.

სუდოკუ

მოამზადა გიორგი ჯამლაძემ

შეავსეთ სუდოკუ ისე, რომ გამოტოვებულ უჯრებში ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ოღონდ არცერთ ჰორიზონტალურ მწკრივში, ვერტიკალურ სვეტში და კვადრატში, რომლებიც 9 უჯრისაგან შედგება, არ უნდა იყოს ორი ერთნაირი ციფრი.

მარტივი

1	9	5	7			6		
				8	9	3		7
			5	6	2	9		
5	7	9	4			2		3
2			8	3			9	
8	3	6			7			5
4	1	7		9	8	5	2	
			2		4		6	
9	6			5	1	8	7	

რთული

	3	6		9				8
	5		6				7	
		7	4	2	3		5	1
	1	9						
5	4			8	6		3	
					1	2		6
2			8	3	9	7		5
9			1	5				2
7		5				9		

ამოხსნა

მარტივი

1	9	5	7	4	3	6	2	8
6	2	4	1	8	9	3	5	7
7	8	3	5	6	2	9	4	1
5	7	9	4	1	6	2	8	3
2	4	1	8	3	5	7	9	6
8	3	6	9	2	7	4	1	5
4	1	7	6	9	8	5	3	2
3	5	8	2	7	4	1	6	9
9	6	2	3	5	1	8	7	4

რთული

1	3	6	7	9	5	4	2	8
4	5	2	6	1	8	3	7	9
8	9	7	4	2	3	6	5	1
9	1	9	3	7	2	5	8	4
5	2	4	9	8	6	1	3	7
3	7	8	5	4	1	2	9	6
2	6	1	8	3	9	7	4	5
9	4	3	1	5	7	8	6	2
7	8	5	2	6	4	9	1	3

საბავშვო გვერდი

სამავშვო რუბრიკა მომზადდა მაღ „ჩიოტას“ დახმარებით

38 - ამა გამოცანით?

38 - სამავშვო ცესცემი

39 - ოთლიანმა ჩყალი არ დალიოთ

39 - იპოვეთ 7 განსხვავემა!

40 - ჩემო, საყვარელო აღსაზრდელებო

ამა გამოიცანით?

ცხრილში მოცემულია, 14 სახეობის ძვირფასი ქვების სახელები, თქვენი მიზანია იპოვოთ ისინი.

ჩ	ქ	ა	ლ	მ	ა	ს	ი	ლ	ფ	ა
დ	ბ	რ	ი	ლ	ი	ა	ნ	ტ	ი	ღ
ი	ნ	ი	ტ	ხ	უ	მ	რ	უ	ზ	უ
ა	ლ	გ	ი	შ	ე	რ	ი	ბ	ა	ლ
კ	ი	ს	ა	ფ	ი	რ	ო	ნ	ი	ს
ფ	ი	ტ	ი	ლ	ა	გ	რ	ა	მ	ტ
ი	შ	ა	ვ	რ	ა	ქ	ჭ	ა	ძ	ლ
რ	ა	მ	ე	თ	ვ	ი	ს	ტ	ო	ა
უ	ბ	რ	ბ	რ	ო	ლ	ი	ე	წ	ლ
ზ	ს	გ	ჰ	კ	ლ	ე	რ	ბ	ი	ი
ი	მ	ა	ლ	ა	ქ	ი	ტ	ი	ა	წ
ა	ხ	ლ	ა	ზ	უ	რ	ტ	ი	გ	ა

საბავშვო ტესტები

1. **რომელია ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში?**

   ა. უშბა ბ. შხარა
   გ. იალბუზი დ. ყაზბეგი

2. **რომელი იყო საქართველოს პირველი დედაქალაქი?**

   ა. მცხეთა ბ. ქუთაისი
   გ. თბილისი დ. ბათუმი

3. **ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პირუტყვი არ დაიკვლება ყურბნად?**

   ა. ცხვარი ბ. ცხენი
   გ. აქლემი დ. კამეჩი

პასუხები იხილეთ მე-40-ე გვერდზე

4. **მინიმუმ რამდენი წლის უნდა იყოს, ყურბნად დასაკლავი მსხვილფეხა პირუტყვი?**

   ა. 3 წლის ბ. 1 წლის
   გ. 2 წლის დ. 1 წლის 8 თვის

5. **რომელ თვეში იკრიფება თხილი?**

   ა. ივნისი ბ. ოქტომბერი
   გ. მაისი დ. აგვისტო

6. **2011 წლის სექტემბერში ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომელი ქვეყნის ნაკრები დაამარცხა საქართველომ?**

   ა. ბულგარეთი ბ. საფრანგეთი
   გ. რუსეთი გ. ესპანეთი

ოფლიანმა წყალი არ დალიოთ

ერთხელ, დილით, როდესაც დალიმ გაიღვიძა მთელი სხეული ტკიოდა, თან მაღალი სიცხე ჰქონდა. როდესაც დედამ დალის შუბლზე ხელი დაადო ისიც დარწმუნდა, რომ ტემპერატურა საკმაოდ მაღალი ჰქონდა.

დალის ექმითან წაყვანა აუცილებელი იყო, თუმცა მას ექიმის ძალიან ეშინოდა. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. რაც შეიძლებოდა მალე უნდა გამოჯანმრთელებულიყო და სკოლაში წასულიყო. რაღა ექნა, ადგა და დედას ექიმთან გაყვა.

როდესაც ექიმი დალის სინჯავდა, იგი ხვდებოდა, რომ თურმე ექიმიდან ტყუილად ეშინოდა. რადგან ექიმმა, მხოლოდ ტემპერატურა გაუზომა, ყელში ჩახედა და გულმკერდზე მოუსმინა. პრინციპში, დალიმ იცოდა რაც აწუხებდა. მას დედიკო და მასწავლებელი ხშირად ახსენებდნენ, რომ გაოფლიანებულზე წყალის დალევა რა შეიძლება ავად გახდებიო, მაგრამ ის არ ისმენდა მათ ნათქვამს. ამჯერადაც გუშინ სკოლაში ბევრი ირბინა, გაოფლიანდა და ბოლოს ცივი წყალიც დააყოლა. ახლა კი ნანობდა, უფროსების რჩევას ყური რომ არ მიუგდო. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ ანდაზაც ამას გვასწავლის. ამ ავადმყოფობით მან ჭკუა ისწავლა და ამის შემდეგ იგი გაოფლიანებულზე წყალს აღარ დალევს.

ექიმმა მისაღები წამლების რეცეპტი მისცა. დალიმ ეს წამლები საჭიროებისამებრ მიიღო და მალე გამოჯანმრთელდა კიდეც... მას ძალიან უხაროდა, როცა სკოლაში მეგობრებთან და მასწავლებელთან დაბრუნდა...

იპოვეთ სურათებს შორის 7 განსხვავება



„სადა"–სთან არსებული ბავშვთა ბაღ „ჩიორას" დირექტორი ირმა დავითაძე

ჩემო საყვარელო აღსაზრდელებო

ჩიორა, სამყაროს პატარა სამკაულია ამით უნდა გახედო წუთისოფელს, შენი ლამაზი თვალებით. შენ უამრავი კითხვა გაგიჩნდება, უამრავი სივრცე გექნება აღმოსაჩენი. ჯერ ხომ შენი ბავშვობის ლამაზი წლებია, სადაც ცა ცისფერი და მზე მზისფერია. მერე როცა გაიზრდები ცოდნის ეს საფუძველი გზას გაგიკვლევს, გაგინათებს. სიკეთესა და ბოროტებას გაგარჩევინებს, გამჩენსა და მოყვასს შეგაყვარებს. სამყაროს ასეთი ხედვა უამრავ მშვენიერებას აღმოგაჩენინებს და სიცოცხლის მშვენიერებას შეგაგრძნებინებს.

ჩემო საყვარელო პატარებო

19 სექტემბერს, მზიანი დილა იყო. ბავშვთა ბაღ „ჩიორაში" აღსაზრდელები ნელა-ნელა მოგროვდნენ, უმეტესობა ახალი აღსაზრდელები გვყავდა. პატარებმა და მშობლებმა ბავშვთა ბაღი დაათვალიერეს. ახალი ინვენტარი და სათამაშოები ძალიან მოეწონათ. დრო გადიოდა, მზე უფრო ბრწყინავდა და თბილად იღიმებოდა. აი უეცრად ორი სტუმარიც გამოჩნდა„დინო და პინო" ეს უცნაური სტუმრები, ჯამბაზები გახლდათ. ბავშვები აღტაცებული იყვნენ მათი დანახვით და სიხარულს ვერ მალავდნენ. შემდეგ მათთან ერთად ბევრი იმხიარულეს, სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს, ჯამბაზებთან ერთად იცეკვეს და დაუვიწყარი წუთები გაატარეს.

38-ე გვერდზე განთავსებული ტესტების პასუხები

1. დ 2. ა 3. ბ 4. გ 5. დ 6. ა